140
1967

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი 3

1967

ეროვნული ბიბლიოთეკა



კიდევ ერთი დიდი გამარჯვება იზეიმა ქართულმა საჭადრაკო სკოლამ. ნონა გაფრინდაშვილსა და ნანა ალექსანდრიას კვალდაკვალ საჭადრაკო სამყაროს კიდევ ერთი ჩემპიონი შეემატა. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ჭადრაკის დაფასთან ღრმად ჩაფიქრებულ გოგონას, ციური კობაიძეს — საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ჭადრაკში გოგონათა შორის. ციური თბილისის 29-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეა. ჭადრაკში მეცადინეობს განათლების განყოფილების ბავშვთა სპეციალიზირებულ საჭადრაკო სკოლაში მწვრთნელ ოთარ ალხანაშვილთან. ეს სკოლა უკვე 10 წელია არსებობს და ბევრი ნორჩი მოჭადრაკე გამოზარდა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური სასურათო ჟურნალი

პიონერი

5 · მაისი · 1967

გამოსვლის [illegible] წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# დიდი გარდაქმნათა ეპოქა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ დღის წესრიგში დადგა არა მარტო ბრძოლა შინაურ კონტრრევოლუციასა და ინტერვენციასთან, საბჭოთა მთავრობას პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა ისეთი სოციალურ-ეკონომიური ღონისძიებების გატარება, რომლებიც უმოკლეს დროში მტკიცედ დააყენებდნენ ფეხზე ჩვენს ქვეყანას.

1921 წლის 21 აპრილს დიდი ლენინი, აფასებდა რა არსებულ მდგომარეობას, ამბობდა: „შეხედეთ რუსეთის რესპუბლიკის რუკას. ვოლოგდის ჩრდილოეთით, დონის-როსტოვისა და სარატოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორენბურგისა და ომსკის სამხრეთით, ტომსკის ჩრდილოეთით გადაჭიმულია თვალუწვდენელი სივრცე, რომელზედაც მოთავსდებოდა რამდენიმე ათეული დიდი კულტურული სახელმწიფო. და მთელ ამ სივრცეზე გამეფებულია პატრიარქალობა, ნახევრადველურობა და ნამდვილი ველურობაც კი. განა წარმოსადგენია ამ, რუსეთში გაბატონებული, მდგომარეობიდან სოციალიზმზე უშუალოდ გადასვლის განხორციელება? დიახ, რამდენადმე წარმოსადგენია, მაგრამ მხოლოდ ერთი პირობით, რომელიც ჩვენ ახლა ზუსტად ვიცით, ერთი დიდი და დამთავრებული მეცნიერული ნაშრომის წყალობით. ეს პირობაა ელექტროფიკაცია“.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმას — გოელროს — ვ. ი. ლენინმა ჩვენი პარტიის მეორე პროგრამა უწოდა.

ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — მეურნეობისა და კულტურის განვითარების წარმართვა არც თუ ისე ადვილი იყო. საჭირო გახდა ძველი ადმინისტრაციული დაყოფის — გუბერნიების, მხარეებისა და თემების გაუქმება, ახალი ადმინისტრაციული დაყოფის შემოღება და ახალი საბჭოთა აპარატის შექმნა, ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლა და რაციონალური გამოყენება, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწორი და გეგმაზომიერი განლაგება.

ვ. ი. ლენინმა თავის შესანიშნავ წერილში „სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონახაზები“ დავალება მისცა მეცნიერებათა აკადემიას სასწრაფოდ შეედგინა რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ვრცელი გეგმა, როგორც მთლიანად, ისე ცალკეული დარგებისა და მსხვილი ეკონომიური რაიონების მიხედვით.

1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სრულიად-საკავშირო ყრილობაზე დამტკიცდა ხელშეკრულება ოთხი მოკავშირე რესპუბლიკის — რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფს რესპუბლიკების გაერთიანებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ.

1922 წელს იყო 4 მოკავშირე რესპუბლიკა.

1924 წელს მათ შეემატა უზბეკეთისა და თურქმენეთის სს რესპუბლიკები. 1929 წელს — ტაჯიკეთის სსრ; 1936 წელს — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკები.

1940 წელს შეიქმნა კარელია-ფინეთის მოკავშირე რესპუბლიკა.

ამავე წელს სსრ კავშირში შევიდნენ და მოკავშირე რესპუბლიკებად გამოცხადდნენ ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და მოლდავეთი. სულ შეიქმნა 16 მოკავშირე რესპუბლიკა.

გარდა ამისა, სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა ძველი ტერიტორიები: დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია (1939 წ.), ტუვის ასსრ (1944 წ.), სამხრეთ სახალინი და კურილიის კუნძულები (1945 წ.), იმიერკარპატის უკრაინა (1946 წ.).

1939 წლიდან 1946 წლამდე სსრ კავშირის ტერიტორია გაიზარდა 540 ათასზე მეტი კვ კმ-ით.

ხუთწლედების მანძილზე ჩვენი ქვეყნის გეოლოგიურ რუკაზე წაიშალა „თეთრი ლაქები“. აღმოჩენილი იქნა წიაღისეულთა ათასობით ახალი საბადო და ამით მძლავრი მატერიალური ბაზა შეიქმნა სახალხო მეურნეობისათვის.

დღეისათვის ჩვენ პირველ ადგილზე ვართ მსოფლიოში ნავთობის, რკინის მადნის, მარგანეცის, სპილენძის, ქვანახშირის, გაზის, ტორფის, ოქროს, პლატინის მარაგით. გვაქვს ნავთობმოპოვების 4 მძლავრი რაიონი, რომელთაგანაც ოთხი — ჩვენს ეპოქაშია აღმოჩენილი. ესე-

ნია: ბაქო; ბაქო-ვოლგა-ურალის რაიონი; ბაქო-დასავლეთ ციმბირი; რაიონი — მანგიშლაყის ნახევარკუნძულზე. ნავთობის მოპოვება ხდება ორასზე მეტ საბადოზე, მათ შორის — კასპიის ზღვის ფსკერზეც. შეიქმნა ნავთობის გადამმუშავებელი მანქანათმშენებლობა, ხოლო ნავთობ და გაზსადენების სიგრძემ 300 ათას კმ-ს გადააჭარბა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში მრეწველობის განვითარების დამახასიათებელი ნიშანთვისებებია: ძველი ტრადიციული დარგების მძლავრი განვითარება (საფეიქრო, კვების, სატყეო), ახალი დარგების შექმნა (შავი და ფერადი მეტალურგია, უნივერსალური მანქანათმშენებლობა, ქიმია), ახალი სოციალისტური ტიპის ქალაქების ზრდა, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, განსაკუთრებით — ციმბირში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო ციმბირზე მოდის სსრ კავშირის ჰიდროენერგორესურსების 4/5, ანუ 165 მლ კილოვატი.

მრეწველობა განვითარდა — ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში, უკიდურეს ჩრდილოეთში.

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში მრეწველობის განვითარების საერთო პროდუქციით სსრ კავშირი ევროპაში პირველ, ხოლო მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა, ზოგიერთი დარგის პროდუქციით კი დიდად უსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მიმდინარე ხუთწლედი მყარ საფუძველს ჩაუყრის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ჩვენს ქვეყანაში. მძლავრმა მრეწველობამ წარმართა სოფლის მეურნეობის განვითარება, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციამ და ელექტროფიკაციამ, მაღალ განვითარებულმა ქიმიურმა მრეწველობამ, რომელმაც საკოლმეურნეო სოფელი უზრუნველყო სასუქებით და ქიმიკატებით, მაღალკვალიფიციური კადრების — აგრონომების, მექანიზატორების მომზადებამ და სხვ.

სარწყავი არხების გაყვანითა და ახალი ფართობების ამოშრობის შედეგად ათვისებულ იქნა ვრცელი ტერიტორიები, მიღწეულ იქნა მაღალი მოსავლიანობა. საბჭოთა სელექციონერების მიერ ახალი, ყინვაგამძლე კულტურების გამოყვანის წყალობით მიწათმოქმედებამ გადაინაცვლა შორეულ ჩრდილოეთში — თვით პოლარულ წრემდე. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო კულტურები მიიწევენ ზევით — მაღალ მთებში, — 1 400-1500 მ. სიმაღლემდე ზღვის დონიდან.

საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ტრანსპორტი. მასზე დიდადაა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება, კულტურის წინსვლა. მეფის რუსეთში, უგზოობის კლასიკურ ქვეყანაში, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობა სუსტად იყო განვითარებული.

დღეისათვის საბჭოთა კავშირში ტრანსპორტის ყველა სახეობაა განვითარებული. ჩვენი რკინიგზის სიგრძემ 130.000 კმ-ს გადააჭარბა, სამდინარო გზებისამ — 120 ათას კმ-ს, ავტოგზებისამ კი — 550 000 კმ-ს. აშენდა ორმოცამდე საზღვაო ნავსადგური და ნავმისადგომი. შიდა საჰაერო ხაზების სიგრძე 250 000 კმ-ზე მეტია, ჩვენი სამგზავრო თვითმფრინავები მუდმივი რეისებით მიფრინავენ შორეულ კანადასა და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და



იაპონიაში, თვით ანტარქტიდაზედაც კი. ტრანსპორტის ყველა სახეობის განვითარებას უზრუნველყოფს მაღალტექნიკური აღჭურვილობა, რკინიგზათა ელექტროფიკაცია.

მეცნიერებათა აკადემიამ, ასობით ახალმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და დაწესებულებებმა წარმართეს ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო ძალების შესწავლა და მათი მშრომელთა სამსახურში ჩაყენება. მეცნიერებმა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბევრი ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემა გადაწყვიტეს. მათ შორის, შორეული ჩრდილოეთის, — პოლარული და ტუნდრის ზონების ათვისება, სადაც შეიქმნა ახალი მსხვილი სამრეწველო ცენტრები და მუდმივმოქმედი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები; არქტიკაში შექმნილია მოდრეიფე სამეცნიერო სადგურები; დაიწყო შეტევა პოლესიესა და დასავლეთ ციმბირის ვრცელ ჭაობიან ადგილებზე — მათი ამოშრობის მიზნით.

ომისშემდგომი პერიოდი აღინიშნა უდიდესი სამეურნეო-ტექნიკური მიღწევებით. ესაა კოსმოსის ათვისებისა და ენერგიის ახალი წყაროების გამოყენების დასაწყისი. ჩვენ გაგვაჩნია ენერგიის ულევი სახეობანი, რომელთა გამოყენება ბოლო დრომდე არ ხდებოდა; მაგალითად, ზღვის მიმოქცევის ძალის გამოყენება (ბარენცის ზღვაში შენდება პირველი მიმოქცევითი ელსადგური), ქარის, მზის ენერგიისა და დედამიწის სითბური ენერგიის გამოყენება (კამჩატკაზე შენდება პირველი გეოფერმალური ელექტროსადგური). მუდმივი და ულევი ენერგიის გამოყენება მომავალში არა მარტო დიდი რაოდენობით დაზოგავს ძვირფას სათბობ-საწვავს, არამედ, სავსებით უზრუნველყოფს იაფი წყაროებით ჩვენს სახალხო მეურნეობას, განსაკუთრებით — შორეულ ჩრდილოეთში.

საბჭოთა ხალხი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უდიდესი წარმატებებით ეგებება დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილეს. ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ისტორია ნახევარი საუკუნის განმავლობაში არის ბრწყინვალე ფურცელი მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

**გრიგოლ ზარდალიშვილი,**
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაუვიწყარი ზაფხული

სერგო კლდიაშვილი

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და დუტუ მეგრელს დღეს კარგად იცნობენ, როგორც მწერლებს. რაც შეეხება ია ეკალაძეს, სინანულით უნდა ითქვას, დღეს მისი სახელი მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში თუ მოიხსენიება. თავის დროზე კი ეკალაძე პოპულარული პროზაიკოსი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე იყო. მშვენიერი ქართულით დაწერილი მისი მოთხრობები და პიესები საგრძნობ გამოხმაურებას პოვებდა ხალხში. ია ეკალაძე, ამასთანავე, შესანიშნავი მცოდნე იყო ძველი ქართული მწერლობისა. მისი თაოსნობით და რედაქტორობით ორ დიდ ტომად გამოცემული ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ანთოლოგია დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ქართლში მოგზაურობის დროს ჩვენ შემთხვევა მოგვეცა გავცნობოდით აგრეთვე ნიკო ლომოურს და ანტონ ფურცელაძეს. ძალიან გვინდოდა გვენახა „ქაჯანას“, „ალის“, „მაცი ხვიტიას“ ავტორები და ხალისით გავსწიეთ არბოში, მათ მშობლიურ სოფელში, სადაც ორივენი ზაფხულს ატარებდნენ. დიდი სურვილი გვქონდა თუნდაც რამდენიმე წუთს გვესაუბრა მათთან. ვაპირებდით იმავე დღეს გამოვბრუნებულიყავით და შემდეგ ჩვენი მოგზაურობა განგვეგრძო, მაგრამ ისე არ გამოვიდა, როგორც ვვარაუდობდით.

ანტონმა და ნიკომ დიდად ალერსიანად მიგვიღეს და მთელი დღით დაგვტოვეს. ვერიდებოდით მათ შეწუხებას, დარჩენაზე უარს ვამბობდით, მაგრამ არ გასჭრა ჩვენმა უარმა. ისინი კიდევაც შეეცილნენ ერთმანეთს, ერთიცა და მეორეც თავის სახლში გვეპატიჟებოდა. ბოლოს ანტონმა გაიტანა თავისი და ყველანი შინ წაგვიყვანა.

ანტონ ფურცელაძეს ერთსართულიანი კარგი სახლი ედგა. ევროპული ავეჯით მორთულმა ფართო სადარბაზო ოთახმა ჩემი ყურადღება უმალვე იმით მიიქცია, რომ ერთი კედლის გასწვრივ წიგნებით სავსე კარადები იყო ჩამწკრივებული.

— ის კარადა კი, — მიათითა ანტონმა ერთზე, — აქაური ბავშვებისათვის არის განკუთვნილი!

გარედან შევათვალიერე და დავინახე „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ კომპლექტები, ხალხური ზღაპრები, გოგებაშვილის „ბუნების კარის“ რამდენიმე ეგზემპლიარი, ილიას, აკაკის და სხვა ქართველ მწერალთა ტომები. იმ დროში სოფლად არსად არ არსებობდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამიტომ იყო, რომ გლეხის ბავშვებზე გულშემატკივარ მწერალს თავის სახლში დაეგროვებინა მათთვის საკითხავი წიგნები.

ანტონ ფურცელაძე საშუალო ტანის, სახით ლამაზი და საოცრად ცოცხალი ბუნების კაცი იყო. მკვირცხლად მოძრაობდა, თითქოს სადღაც მიეჩქარებოდა და დრო ეცოტავებოდა. მისი წერის მანერაც ხომ დაახლოებით ასეთივეა, — გრძნობამორეული, ფიცხი, მძაფრი, თითქმის ნერვიული. ხმამაღალი ლაპარაკი იცოდა. იხეთი მკაფიო დიქცია, გამოთქმა ჰქონდა, ისე ჟღერდა თვითეული მისი ფრაზა, თითქოს ყოველ სიტყვას უალერსებდა. დაწვრილებით გამოგვკითხა: რა ვნახეთ მოგზაურობის დროს, საით ვაპირებდით წასვლას, მოგვცა რჩევა-დარიგება, მომავალში რისთვის მიგვექცია მეტი ყურადღება. ბევრი რამ გვიამბო სამეგრელოში გატარებულ წლებზე და, კიდევ უფრო ვრცლად, გიორგი სააკაძის პიროვნებაზე (გ. სააკაძეზე ა. ფურცელაძეს დიდი ისტორიული ნარკვევი აქვს დაწერილი). შუადღიდან დაბინდებამდე დავყავით მასთან. ამ ხნის მანძილზე ის მასპინძლობდა, ზრუნავდა ჩვენზე, სულ მოძრაობაში იყო და ერთხელაც არ შეგვიმჩნევია დაღლა.

ამ მხრივ სულ სხვა იყო ნიკო ლომოური. მშვიდი და სიტყვაძვირი, მოქანცულ და ჯანგატეხილ ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. იშვიათად თუ ჩაერეოდა საუბარში, უფრო მეტად ჩუმად იჯდა, ყურს გვიგდებდა და ისე ალერსიანად შემოგვცქეროდა, რომ უსიტყვოდ ვგრძნობდით, რა კეთილად იყო ჩვენდამი განწყობილი: მის გამოხედვაში, მთელ მის სახეში საოცარ გულკეთილობას და სითბოს ვგრძნობდით. ნიკო ლომოურის მაღალი ადამიანური თვისებები ხომ მის ნაწერებშიც ჩანს! განა ასეთი განცდა არა გვაქვს, როცა მისი ნათელი ქართულით დაწერილ „ქაჯანას“ და „ალს“ ვკითხულობთ?

სადილად დამსხდარი ვიყავით, როცა სუფრაზე შემოგვესწრო შუახნის, მაღალი, მოკლე წვერულვაშიანი, გამხდარი სახის კაცი, რომელსაც გაცვეთილი შავი ჩოხა ეცვა და ხელში საბიჯგი გრძელი ჯოხი ეჭირა. პირველი შეხედვით მან როგორღაც მომაგონა საბა ბერი. პიესა „ღალატის“ ერთ-ერთი პერსონაჟი. მთელი სადილის განმავლობაში მას ერთი სიტყვაც არ დაცდენია, მდუმარედ იჯდა, თითქოს მორცხვადაც. ყურადღება არ მიგ-

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 1, 2.

ვიქცევია მისთვის, არც კი ვგრძნობდით, რომ ჩვენს შორის იყო. მაგრამ შემდეგ, როცა მასპინძელმა მისი ვინაობა და მოღვაწეობა გაგვაცნო, ჩვენი გულგრილობა უმალვე ღრმა პატივისცემით შეიცვალა. ის კაცი იყო ისაია ფურცელაძე, მეზობელ მერეთში მცხოვრები.

ისაია მარტოხელა იყო, ცოლ-შვილი არა ჰყავდა. მერეთში ხეხილის ბაღი ჰქონდა, რომელსაც დიდი მონდომებით უვლიდა. საკმაოდ კარგ შემოსავალს აძლევდა. მაგრამ რაში იყენებდა ისაია ამ შემოსავალს? პირად კეთილდღეობას ახმარდა? ფუფუნებაზე ზრუნავდა? არა, სრულიად არა! ისაია მინუმუმს იტოვებდა თავისთვის, მხოლოდ იმდენს, რამდენიც აუცილებელი იყო ყოველდღიური ცხოვრებისათვის. დანარჩენს კი მთლიანად აძლევდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. ეს თავდადებული პატრიოტი იმიტომ ეწეოდა სპარტანულ ცხოვრებას, მხოლოდ იმისთვის იღწვოდა, რომ თავისი წვლილი შეეტანა ხალხში ცოდნისა და განათლების გავრცელების საქმეში.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის სათავეში იდგნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ყაზბეგი და სხვანი — უდიდესი როლი შეასრულა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. მთელი ის თანხა, რომელსაც ხსენებული საზოგადოება აგროვებდა, სწავლა-განათლების საქმეს ხმარდებოდა. არ დარჩენილა საქართველოში თითქმის არც ერთი კუთხე, სადაც გახსნილი არ ყოფილიყო სკოლა. ახალგაზრდობა, და ზოგჯერ მოწიფულობაში შესულნიც, იქ უფასოდ სწავლობდნენ. ამ საზოგადოების თაოსნობით იბეჭდებოდა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ნარკვევები ჩვენი ისტორიიდან, პოპულარული სამეცნიერო შრომები, ეძლეოდათ სტიპენდიები ღარიბ ახალგაზრდებს, რომლებიც თავისი ნიჭით ყურადღებას იპყრობდნენ. მეფის მთავრობა არა თუ რაიმე მზრუნველობას იჩენდა საქართველოს ღარიბ მოსახლეობაზე, არამედ ყოველგვარად ცდილობდა სიბნელეში ჰყოლოდა ისინი. და აი, ასეთ ვითარებაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საქმიანობა უდიდეს პატრიოტულ აქტს, ნამდვილ გმირობას წარმოადგენდა. ხელისუფლების მიერ შექმნილი ათასგვარი დაბრკოლებების დასაძლევად საჭირო იყო არა მარტო გაბედული ბრძოლა, აუცილებელი იყო ფული. მაგრამ საიდან? ვინ იყო მისი მომცემი? ვინა და, მოწინავე ინტელიგენცია, რომელსაც თავისთვის უნდა მოეკლო, და აგრეთვე ის რამდენიმე თავდადებული უბრალო ადამიანი, რომელნიც თავისი სიცოცხლის დანიშნულებას იმაში ხედავდნენ, რომ მოძმეთათვის სასარგებლო სამსახური გაეწიათ.

და, აი, ერთი ამათგანი იყო ისაია ფურცელაძე! თურმე რა მაღალი სულის მქონე ადამიანი იყო ეს კაცი, რომელიც ასე მოკრძალებულად იჯდა ჩვენს გვერდით! სტუმრად მოსულს რიგიანი ჩოხაც არ ცმია, მაშინ, როცა მას სრული შესაძლებლობა ჰქონდა ფუფუნებაში გაეტარებინა თავისი ცხოვრება. მაგრამ მისი პირადი ბედნიერება ხომ მხოლოდ ის იყო, რომ თავისი ხალხის, თავისი ქვეყნის სამსახურში მდგარიყო!

მზე ჩადიოდა, როცა დავემშვიდობეთ ჩვენს გულუხვსა და კეთილ მასპინძელს. ისაიამ მერეთში მიგვიწვია ღამის გასათევად და ბაღის დასათვალიერებლად. ეს პატარა სოფელი არბოს მეზობლად მდებარეობს. გადავიარეთ პატარა მდინარე და მალე იქ ვიყავით.

ისაია ფურცელაძის ბაღს, რომელიც მეორე დილით დავათვალიერეთ, საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა. მრავალგვარი ხეხილი ხარობდა იქ და ყველაფერს მზრუნველი, მოსიყვარულე ხელი ემჩნეოდა. თვალს უხაროდა, ისეთი მოვლილი იყო იქაურობა.

ისაიამ შემოგვთავაზა, დაგვეკრიფა რაც გვინდოდა. დიდის მორიდებით მოვწყვიტეთ რამდენიმე ნაყოფი და, თუმცა კიდევ მიგვიწევდა გული, — თავი შევიკავეთ.



ნიკო ლომოური



ანტონ ფურცელაძე

— დაკრიფეთ, პირი ჩაისველეთ! — გვეპატიჟებოდა ისაია, ფრთხილად ხრიდა გემრიელი ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს, მაგრამ ჩვენ განზე გავდექით. ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს დანაშაულს ჩავიდენდით, თუ ასეთი კეთილშობილი საქმისათვის გამიზნულ დოვლათს რაიმეს მოვაკლებდით.

ისაიას ჯერ გაუკვირდა, რად ვიდექით მტკიცე უარზე, მერე თითქოს მიხვდა, რით იყო ეს გამოწვეული, ღიმილი გამოჩნდა მის სახეზე და საოცარი სითბოთი შეგვავლო თავისი ოდნავ სევდიანი თვალები. ჩვენი უარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომ ერთგვარი გულწრფელი დაფასება იყო მისი ღვაწლისა, ეს ხომ იმის მაჩვენებელი იყო, რომ ულრმეს პატივისცემას ვგრძნობდით მისი შრომისა და ცხოვრებისადმი! ბოლოს, სიტყვით რომ ვერ დაგვიყოლია, გამოიტანა კალათა, გაავსო ხილით, იძულებული გაგვხადა წაგვეღო, გამოგვყვა და უკან, გორისკენ მიმავალ გზაზე დაგვაყენა. ამ კეთილშობილმა, წმინდანის მსგავსმა ადამიანმა არა მარტო თავისი შრომით მოყვანილი კალათა ხილი, არამედ თავისი ცხოვრების მაგალითი გამოგვატანა სამარადჟამო საგზლად!

სამწუხაროდ, ამის მეტად აღარ მინახავს ისაია ფურცელაძე. გაზეთში მოთავსებულ მოკლე ნეკროლოგიდან ვიცი მხოლოდ, რომ მის მიერ დატოვებულ ანდერძის თანახმად ხეხილის ბაღი მთლიანად გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ასეთი იყო მისი უკანასკნელი სურვილი.

აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენმა მოგზაურობამ თითქმის თვენახევარი გასტანა და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მოვასწარით დაგვეთვალიერებინა მრავალი ისტორიული ძეგლი და, რაც მთავარია, ხალხის ცხოვრებას გავცნობოდით.

მაინც, რა დარჩა აქედან მეხსიერებაში უფრო ცხოვლად? აბა რამდენი გავიხსენო, რამდენი ჩამოვთვალო! გინახავთ უფლისციხის გამოქვაბულები, მცხეთა, არმაზი და ჯვარი, საგურამოს და ზედაზნის უძველესი ციხესიმაგრე, გომბორის მთები და შუამთა, ლეგენდარული წმინდა ნინოს განსასვენებელი ბოდბეში, წინანდალი და ერეკლე მეორის დარბაზები თელავში, არწივის ბუდესავით მთაზე აღმართული სიღნაღი და ქალაქის გარშემო შემოვლებული ძველი კედელი, გაოცების მომგვრელი ციხე ხორნაბუჯისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გვიფარავდა აზიის სახელმწიფოთა სამხედრო თავდასხმისაგან? დაგინახავთ თელავის ნადიკვარიდან ნისლის თხელ რიდეში გახვეული დაღესტნის მთები და თვალუწვდენ სივრცეზე მწვანედ გაშლილი ზვრები თვალწარმტაც ალაზნის ველზე, რომლის შუაგულში ზღაპრული ყვავილივით აღერებულა თეთრი ალავერდი?

რამდენი რამ სანახავია აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეში: მესხეთი, ჯავახეთი, აჭარა, სვანეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი, ქართლ-კახეთი, — ჩვენი ქვეყნის ყველა ეს მხარე ხომ განუმეორებლად თავისებური და მომხიბლავია. თქვენი თვალით ნახეთ ვარძია, საფარა, თმოგვი, გელათი, მარტვილი, ბახტრიონი, გონიო, კვირიკე, უბისი. ამის შემდეგ უფრო გარკვევით გეცოდინებათ, რას წარმოადგენდა წარსულში ჩვენი სამშობლო. მოიარეთ სოფლები და ქალაქები და გაიგებთ, როგორ ცხოვრობს დღეს ჩვენი ხალხი, რომელიც მომავალის შენებაშია ჩაბმული. რამდენ შესანიშნავ ადამიანს შეხვდებით და კიდევაც დაუახლოვდებით ამ მოგზაურობის დღეებში!

საზაფხულო არდადეგები მალე დაიწყება და აქედანვე შეუდექით იმაზე ფიქრსა და სამზადისს, წელს რომელ კუთხეს ეწვიოთ. სადაც არ მიხვალთ, ყველგან სასურველი სტუმრები იქნებით. ნეტავი თქვენსავით ახალგაზრდა ვიყო, რომ გვერდში ამოგიდგეთ და ერთხელ კიდევ გავიხარო ჩვენი ქვეყნის მშვენიერებით და დიდებულებით!

# ღრუბლებივით მიქრიან წლები



ბაილ ბაიშელი

წლები ღრუბლებივით გარბიან. წლები სამხრეთის ქვეყნებისაკენ გაფრენილ წეროთა გუნდებივით მისდევენ ერთმანეთს. შემოდგომას ზამთარი ენაცვლება, ზამთარს — ზაფხული. ზაფხულში სწავლა წყდება და არდადეგებზე გვითხოვენ. პირველი კლასიდან მოყოლებული, ცხრა არდადეგები გავატარეთ ზოგმა პიონერთა ბანაკებში, ზოგმა ზღვაზე, ზოგმაც სოფელში... არდადეგები ყოველთვის გვახარებდა. მაგრამ დგება ერთი დღე, როცა გულისტკივილით ვეთხოვებით სკოლას, ვეთხოვებით ყველაფერს, რაც ამ სკოლასთან გვაკავშირებს, ხელში ძვირფასი სუვენირივით გვრჩება მოგონებები საკლასო ოთახებზე, მერხებზე, ზოოლოგიის კაბინეტში გამოფენილ ბალზამირებულ ბაყაყებსა და ფრინველების ფიტულებზე, ათასგვარ ქიმიურ და ფიზიკურ ცდებზე, ჯვაროსნულ ომებსა და კართაგენის დაცემაზე. რა თქმა უნდა, გვახსენდებიან მასწავლებლები, რომლებმაც ანა-ბანა გვასწავლეს, უამრავ საიდუმლოებას ახადეს ჩვენს თვალწინ შეუცნობლობის ფარდა. ჩვენ ყველას მეტ-ნაკლებად გვიყვარს მასწავლებლები. მაგრამ რა იწვევს ჩვენში ამ გრძნობას, ამ სიყვარულსა და პატივისცემას?



თინა გვარლიანი

მახსოვს, დილა უთენია ბოლოქან-ქარის ჭყივილზე მეღვიძებოდა. ომისშემდგომ წლებში ყველას უჭირდა. განსაკუთრებით მშობლებს უჭირდათ. სოფელს მუშა ხელი აკლდა. უმწყემსოდ, ჰაიჰარად გაშვებული ნახირი უკან აღარ ბრუნდებოდა, ნადირი ესეოდა და ანადგურებდა. გაყვითლებული, გაუთოხნავი სიმინდები სულს ღაფავდა. ქალები ველარ აუდიოდნენ თივის დაბულულებასა და ოჯახის საქმეებს. ცხოვრება იწყებოდა თავიდან. ყველაფერი იწყებოდა ახლად და სხვანაირად, სხვა ყაიდაზე.

საღამოობით მამაჩემი სხვათაშორის იტყოდა ხოლმე:

— ხვალ ჩვენი ჯერია, ხვალ ჩვენ უნდა გავრეკოთ სოფლის საქონელი...

— სათიბი ლამის გადახმეს უწყლოობისაგან...

დედაჩემი დუმდა, დუმდა და კვერს უკრავდა თავისი დუმილით—ასეა, ასეაო. ვხვდებოდი, რომ ეს მე მეხებოდა ყველაფერი. მეორე დილით, ფაციფუცით ვდგებოდი, მოზრდილ მამაკაცივით გადავიდებდი ბარს მხარზე და მივაშურებდი სათიბს, რომ არ გადამხმარიყო ბალახი... სოფელს ჩამოვუვლიდი, ეზოებიდან სათითაოდ გამოვირეკავდი საქონელს და წკეპლით ხელში მივლალავდი ორღობეებში, მივლალავდი საძოვრებისაკენ. საღამოს კი დაღლილ - დაქანცულს მამის ხელის მოთათუნება და დედის ღიმილი მავიწყებდა გარდახდენილს. მეორე დილით — კვლავ ახალი საქმე, ახალი დავალება... სოფლის ბიჭუნები მალე დავუმეგობრდით მთათა ბილიკებს, კლდეებსა და დარ-ავდარს. მერე კი მოულოდნელად, ყველაფერი შეიცვალა. ერთ დილას უცნობი ადამიანეპი გვესტუმრნენ, მხარზე პატარა წალდგადადებული დამიჭირეს და ქართულად . დამიწყეს საუბარი. ბევრი არაფერი მესმოდა, მრცხვენოდა, რომ არ მესმოდა. ისედაც მრცხვენოდა უცნობი ადამიანებისა. ჩვენებს ერთსაათიანი საუბარი გაუბეს. მამაჩემი ჯერ ბუზღუნებდა, მერე კი შეურიგდა და კარგი, კარგიო — დასთანხმდა რაღაცაზე. ჩემთან მოვიდა, წალდი გამომართვა, საჩეხ ჯირკვზე დაარჭო და მითხრა: შვილო, მიდი, ამათ გაყევიო...

მივაბიჯებდი უცნობებთან ერთად, ოღონდ მთაში კი არ მივდიოდით, სადღაც სხვაგან. უცნობებმა სოფლის მთავარ ქუჩაში გამატარეს, მე არ ვიცოდი სად მივყავდი, მხოლოდ მერე გავიგე.

— შენ შარშან უნდა შესულიყავი პირველ კლასში, რატომ გაგიცდა წელი? — მეკითხებოდა მზრუნველი კილოთი ჭაღარაგარეული, სათვალეებიანი ქალი. მაგრამ მე პირში წყალჩაგუბებულივით ვდუმდი; ხმას არ ვიღებდი — რა უნდა მეპასუხნა?

ერთსართულიან შენობაში შემიძღვნენ. მერხებზე ჩამომსხდარი უამრავი თანატოლი დამანახეს. (მე იმათიც მრცხვენოდა რატომღაც). — აი, აქ დაჯდებიო, — მიმითითეს მერხზე. ასე გავხდი პირველი კლასის მოწაფე. ალბათ ვერასოდეს ვერ გავხდებოდი, ის ადამიანები რომ არა, ის უცნობი ადამიანები. სახლში არავინ ლაპარაკობდა სკოლაზე, სახლში სულ სხვა რამეს მოითხოვდნენ, სულ სხვა რამე იყო საჭირო. ჩემისთანა კი ვინ იცის, რამდენი იყო სოფელში. იქნებ ამიტომ გვიყვარს ჩვენი მასწავლებლები?



„დედა ენაში" ჯერ ლამაზი ნახატები გვიტაცებს. მერე თანდათან ვსწავლობთ ასოებსა და ერთმანეთს ვაბამთ სიტყვებს, წინადადებებს.

გოხებაში თავისთავად იხატება ლამაზი სურათები: მამლები, მელიები თუ დათუნიები რაღაცას აკეთებენ თავისთვის. ბიბლიოთეკიდან მოგვაქვს წიგნები. ყველა ჩაგვჩიჩინებს — ბევრი იკითხეთ, ბევრი იკითხეთო. და ჩვენც ინტერესით ვკითხულობთ ზღაპრებს ნაცარქექიებსა და წიქარებზე, ცხრათავა გველეშაპებსა და დევებზე. ჩვენ გვიყვარს ისტორიები, სხვადასხვა ხიფათებითა და თავგადასავლებით სავსე ისტორიები. მერე და მერე მოთხრობებზე გადავდივართ. მშობლებისაგან მალულად რომანებსაც ვკითხულობთ. ერთ მშვენიერ დღეს კი კლასში ახალი მასწავლებელი შემოდის. მას თან რაღაც სინჯარები, მინის ქილები შემოაქვს და უცნაურ ცდებს ატარებს ჩვენს თვალწინ.

„რა არის ეს?" — ფიქრობ ჩუმად. მსგავსი რამ აქამდე არ გინახავს. სინჯარები და სხვადასხვა ნივთიერებები არაფრით არ ჰგვანან ზღაპრებს, მოთხრობებს. ეს არ არის ჩვეულებრივი საინტერესო ამბავი, ქართულის, ან ისტორიის გაკვეთილზე რომ მოისმინე. აი, მასწავლებელმა ანთებულ სპირტქურას მინის ჭიქა დაახურა. ალი თანდათან ჩაქრა. რა არის ამაში საინტერესო? მაგრამ ხდება უცნაური რამ. მასწავლებელი ისე ლამაზად და კარგად ლაპარაკობს, ისე გულდასმით და შინაარსიანად ხსნის და გესაუბრება ცდების შესახებ, ზიარი ჭურჭლის თვისების შესახებ, რომ აღარც ვინდა ზარის ხმა გაიგონო. თავში კი ათასი ახალი ტერმინი ირევა: დიფუზიები, ადსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაციები, სუბლიმაციები... დაჟანგვები და აღდგენები... — ირევა და ლაგდება თავთავის ადგილას. ამიერიდან ქიმია შენთვის ზღაპრებივით, მოთხრობებივით საინტერესო ხდება. იგი მასწავლებელმა გახადა შენთვის საინტერესო. იქნებ ამიტომაც გიყვარს მასწავლებელი?



სულ რაღაც ექვსი წელი მაშორებს ჩემს სკოლას, აღმზრდელებს. ამ წუთში კი ჩემს საყვარელ პედაგოგთან, ქიმიის მასწავლებელთან პატივცემულ თინა გვარლიანთან ვზივარ და მოკრძალებით ვესაუბრები სკოლის შესახებ. რა არის ახალი სკოლაში? როგორი მოსწავლეები იზრდებიან? პირველად ვეკითხები თითის აუწევლად ისეთ რამეზე, რაზეც სხვა დროს ვერ გავუბედავდი. ვეკითხები საკუთარ გეგმებსა და ფიქრებზე, რაიონში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესახებ და უხერხულად ვგრძნობ თავს რატომღაც.

მაგრამ თინა მასწავლებელი მესაუბრება ჩვეულებრივად, როგორც თავის კოლეგას, თანატოლს, სერიოზულად და წყნარად, თავისი ჩვეული გულთბილობითა და სიყვარულით მესაუბრება, და თანდათან ქრება უხერხულობის გრძნობა, სიმორცხვის გრძნობა.

თინა მასწავლებელი პირველ რიგში მელაპარაკება მესტიის საშუალო სკოლის დირექტორზე, პატივცემულ სოსო ჩართოლანზე, სკოლის დაარსების დღიდან შეუცვლელად რომ უდგას სათავეში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს რაიონში, გეოგრაფიის, რუსულის, ბიოლოგიისა და ქიმიის. მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებზე: თამარა არღვლიანზე, ფაცია გუჯეჯიანზე, მარო ნაკანზე, ვერა გუჯეჯიანზე, სელიმხან ფალიანზე, ნუცა და სიმონ მჭედლიანებზე; იხსენებს საყვარელ მოსწავლეებს, ხუთებზე რომ დაამთავრეს საშუალო სკოლა და ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძობენ სკოლაში შეყვარებული მეცნიერების შემდგომ შესწავლა-დაუფლებას. ღიმილით იგონებს ამჟამად უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტს თამილა ფალიანს, ამავე ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტს დალი გვიჩიანს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს — ვიტალი ჭკადუას, ჯემალ ხერგიანს, ემზარ გუჯეჯიანს და ბევრ სხვას... ამ მხრივ მართლაც აქვთ მესტიის საშუალო სკოლის მასწავლებლებს სატრაბახო.

—მარტო 1961 წლის გამოშვების მოსწავლეებიდან თითო-ოროლა თუ დარჩა უმაღლეს სასწავლებლების გარეთ, — ამბობს თინა მასწავლებელი.—ეს ტრადიციად მოსდევს ჩვენს სკოლას. ამ ტრადიციისათვის არც შემდგომ წლებში გვიღალატნია. ასე იყო წელსაც. ჩვენმა ბავშვებმა კარგად გაამართლეს; რომელი ერთი დავასახელო...— თინა მასწავლებელს უხარია და თვალები უციმციმებს; ვგრძნობ, როგორ უხარია პატარებზე, მათ ბედ-იღბალზე საუბარი. მიკვირს: მართლაც რამდენი მოეთხოვება მასწავლებელს. რამდენი რამე, რასაც სწავლის დროს ყოველთვის ვერ ვამჩნევთ და ვაფასებთ, რასაც მხოლოდ მერე ვხვდებით, ან იქნებ ვერც ვხვდებით ძალიან ხშირად.

— ჩვენი ბავშვები სანიმუშო ყოფაქცევითაც გამოირჩევიან, არ გვახსოვს, მესტიის სკოლადამთავრებულს სადმე შეერცხვინოს სკოლის ღირსება... ეს არ გვახსოვს....

„და განა მხოლოდ სასწავლო წიგნებში მოცემული თეორიებისა და ძნელი ამოცანების ახსნასა და მშრალ გადმოცემას შეეძლო მოეცა ასეთი შედეგი?" — ვფიქრობდი ჩემთვის. აი, წარმოდგენით ახლა კვლავ სკოლის მერხზე ვზივარ. გატრუნული ვუსმენ მასწავლებლის ლაპარაკს. უცბად იგი წყვეტს ასახსნელის ირგვლივ საუბარს და სულ სხვა რამეზე გველაპარაკება. მართლაც, ზოგიერთი ჩვენი მასწავლებელი კარგად უთავსებდა ერთმანეთს დავალების გამოკითხვას, ახალი მასალის ახსნასა და ხელოვნებისა თუ მეცნიერების სხვადასხვა დარგებზე საუბარს. ისინი გველაპარაკებოდნენ მუსიკაზე, მხატვრობაზე, პოლიტიკაზე. ამის გამო იყო, დედაქალაქში ჩამოსულებს ასე თუ ისე შეგვეძლო კლასიკური და თანამედროვე ჯაზური მუსიკის ერთმანეთისაგან გარჩევა. გაგონილი გვქონდა მსოფლიოს საოცრებათა შესახებ. ვიცოდით, რა ხდებოდა კუბაში. დიდი გულისტკივილით განვიცადეთ კონგოელი ხალხის საამაყო შვილის პატრის ლუმუმბას მუხანათური მკვლელობა. და ყველაფერი ეს ჩვენ მასწავლებლებმა გვასწავლეს, მესტიის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა. ჩვენთან, მთებისა და ცადაზიდული მწვერვალების ქვეყანაში, სკოლა თითქმის ერთადერთი და მთავარი წყარო იყო ცოდნისა. მასწავლებლები კი ჩვენთვის ათგზის მასწავლებლები იყვნენ. ჩვენი საყვარელი მასწავლებლები...



თინა მასწავლებელი თავის მოსწავლეებ ი ს ქებაშია, სიყვარულით მიამბობს მეათეკლასე ლ ების—თენგიზ გუჯეჯიანის, დინარა ჯაფარიძის, მერვე კლასელების ნუნუ გვიჩიანის, ნესტან კვიციანისა და სხვათა სასახელო საქმეებზე, სწავლასა და შრომაზე.

ამას წინათ, სკოლის დირექტორ სოსო ჩართოლანთან ღვაწლმოსილ პედაგოგზე, თინა მასწავლებელზე მქონდა საუბარი: თინა ოცი წელია, ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. მას მთელი რაიონი იცნობს და აფასებს, რამდენი ხანია, არჩეულია რაიონის ქიმიის მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანების ხელმძღვანელად. მესტიის საშუალო სკოლა კი ერთ-ერთი მოწინავეა როგორც რაიონში, ისე მთელს რესპუბლიკაში. — მიამბობდა პატივცემული სოსო, — ნორჩ ქიმიკოსთა ზონალურ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში ჩვენი ბავშვები ყოველთვის წარმატებებს აღწევენ... სვანეთი კი, საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვით პირველ ადგილზეა და ამაში სწორედ პასიკო გვიჩიანს, თედო მარგიანს, გერმან ხერგიანს, ბათა შუქვანს, ისლამ ჩართოლანსა და სხვა პედაგოგებსაც მიუძღვით გარკვეული წვლილი. საუბრის ბოლოს დირექტორმა თქვა: — წელს ჩვენი სკოლიდან თინა გვარლიანი დამსახურებაზე წარვადგინეთ. იგი მთელმა სკოლამ, მთელმა რაიონმა წარადგინა.... განა არ გვაქვს მასწავლებლებს საამაყო?...

მაგრამ ეს იყო დირექტორის სიტყვები. თინა მასწავლებელი კი რატომღაც არაფერს ამბობს თავისთავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახსა და შვილებზე: პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის მე-5 კურსის ფრიადოსან სტუდენტზე დალი იოსელიანზე და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსის ფრიადოსან სტუდენტზე თეიმურაზზე, მესტიის საშუალო სკოლის მეცხრე კლასის ფრიადოსან მოსწავლე ნუნუზე და ყველაზე პატარა, მაგრამ ყველაზე მუყაით ლელაზე.

მე მაინტერესებს, როგორ დაიწყო თინა მასწავლებლის პედაგოგიური მოღვაწეობა. რამ განაპირობა ქიმიისადმი მისი სიყვარული.

როცა ვკითხე ამის შესახებ, იგი ჯერ დუმილს მიეცა. მერე წყნარი ხმით დაიწყო გარდასულ დღეთა გახსენება. უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე გატარებული სტუდენტობის წლები მოიგონა.

— ვფიქრობდი, რომ ჩვეულებრივი ფრიადოსანი სტუდენტი ვიყავი, ძალიან გამიკვირდა, როცა სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული ქიმიის კათედრის გამგემ პროფესორმა მიხეილ შალამბერიძემ, რომელიც უნივერსიტეტში, ჩვენს ფაკულტეტზეც კითხულობდა ლექციებს, მაინცდამაინც ჩემზე შეაჩერა არჩევანი და დიპლომის დაცვისთანავე სამედიცინო ინსტიტუტში შემომთავაზა მუშაობა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. სულ სამი წელი დავყავი ინსტიტუტში, ლაბორატორიულ მუშაობასთან ერთად სადისერტაციო თემასაც ვამუშავებდი...— თინა მასწავლებელს თითქოს ჩრდილივით გადაურბინა რაღაცამო, სევდიანი კილოთი წარმოსთქვა ეს ბოლო სიტყვა და გაჩუმდა, მერე კვლავ განაგრძო:

— ომით გამოწვეულმა საშინელებებმა, როგორც ბევრ სხვას, მეც ჩამიშალა გეგმები. სვანეთში მარტოდ დარჩენილ მშობლებს უჭირდათ თავის გატანა... უჭირდათ და მეძახდნენ. ძმებიც არ იყვნენ იმ დროს სახლში და იძულებული შევიქენი მიმეტოვებინა სამედიცინო ინსტიტუტი, სადისერტაციო თემაზე მუშაობა, ლაბორატორია და 1943 წლის ცივ იანვარში მესტიას მივაშურე. ასე დაიწყო ჩემი პედაგოგიური გზა. რაიონში ქიმიკოსი არ იყო და მაშინვე მუშაობას შევუდექი. იმ დღიდან მოყოლებული, ჩემი ბედი და იღბალი მესტიის საშუალო სკოლას დავუკავშირე.

იგი მასწავლებელთა რესპუბლიკურ სემინარებზე წაკითხულ მოხსენებებს მაჩვენებს... ზოგიერთი მათგანი ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" ფურცლებზეც კი დაუსტამბავთ. ვკითხულობ თემების სათაურებს: „მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერება სწავლების პროცესში", „მასწავლებლისა და ოჯახის როლი ბავშვის აღზრდის საქმეში...", „შრომითი ჩვევის გამომუშავება და მისი როლი ადამიანის ჩამოყალიბებაში"...

— ხშირად ვფიქრობ ხოლმე იმ მიტოვებულ დისერტაციაზე. მართალი გითხრა, ზოგჯერ გულიც კი მეთანაღრება — იქნებ მეც გამომსვლოდა-მეთქი რაღაცა, მაგრამ თქვენ, ჩვენი სკოლის აღზრდილები, მშველით ამ დროს, ჩემი დალი და თეიმურაზი მშველიან, სოფლის პატივცემა და სიყვარული მავიწყებს ყველაფერს... სხვათაშორის, მე პედაგოგისაგან მოვითხოვ, რომ იგი პასუხს აგებდეს მოსწავლეებისა და ხალხის წინაშე არა მარტო საკუთარი ქცევითა და ადამიანობით, არამედ მთელი ოჯახით, ბავშვებით... მე, მაგალითად, მეამაყება ჩემი ბავშვები, მეამაყება და ამიტომ მოსწავლეების წინაშე თამამად შემიძლია ვილაპარაკო მათი ყოფაქცევისა და მოსწრების შესახებ. მივუთითო მათ შეცდომებზე და ზოგიერთ შემთხვევაში დავტუქსო კიდეც. როგორც დედა და პედაგოგი, მე ასე ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ ყოველივე ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ შეწყვეტილ დისერტაციაზე, ჩვენი საშუალო სკოლადამთავრებულთა სასახელო საქმეები და წარმატებები ყოველთვის სიხარულის გრძნობას იწვევს ჩემში...

* * *

სიამაყით და სიხარულით აღვსილი, ახალი ფიქრებითა და განცდებით გამოვედი ქუჩაში. მეჩვენებოდა, რომ ამ რამდენიმე წუთში მე ბევრი რამე გავიგე და ვისწავლე ისეთი, რაც აქამდე არ ვიცოდი, რასაც სხვისგან ვერ მოვისმენდი. მე გავიგე თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პედაგოგი, როგორ უნდა უყვარდეს მას ბავშვები. და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს ჩემი მასწავლებლისაგან გავიგე, ბავშვებზე ზრუნვაში გაჭაღარავებული მასწავლებლისაგან. და სამუდამოდ დავრწმუნდი: კარგი, კეთილი და განსწავლული ადამიანები ყოველთვის მასწავლებლებად რჩებიან... ისინი ყოველთვის რაღაცას გვასწავლიან... ალბათ ამიტომაც გვიყვარს მასწავლებელი...

## ორი არაგვიანი

ორი არაგვიანი,
ჩემი ფასანაური,
მგზავრი არაგვიანი
არაგვს რას არ ავუვლი,—
ზღვა საფიქრალს მომცემენ
გზები ანაზდეული,
წავალ, ზამთრის ოცნებებს
მზეში გავამზეურებ.
ან რა გული მომითმენს,
წავალ, სადაც მივლია,
ჩანჩქერები ოდითვე
ტყეთა ძველი ჰიმნია.
ყველგან ხე მოცვარული,
შუქი მწვანე ველების,
ზამთრით ხელმოცარული
ზაფხულს მწარედ ველოდი.
მუხლმა უხვად იწვნია
შიში სავალ ბილიკზე,
წავალ, მუხნარ-წიწვიანს
ფეხით დავაგვირისტებ.
მაგ მთის მადლი წყალობდათ
მხოლოდ გერგილიანებს,
რომ არ გნახოს, არაგვო,
ალბათ ბევრი ინანებს.
ან რა გული მომითმენს
მოველ, არ დავგვიანდი,—
შემომბღავის შორითვე
ორი არაგვიანი.

მედეა კახიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბავშვობას ვხატავ

იყო და არის,
როგორც ბავშვობა—
წყარო, რომელიც
ჯერ არ დამშრალა.
საბედნიეროდ—
ჯერ არ დამშრალა.
ყანებს დიოდათ
სუნი სინედლის
და მშვენიერი
დიდი წვიმები
ქუქუნა თვალებს
არ მაცილებდნენ.
ენთო ყაყაჩო,
როგორც იმედი,
რომ აჰა, უკვე,
თითქმის მივედი.
და შაქშაქეთის
დაცემულ სერებს
ჭახჭახა ფერი
მისდევდა მერე.
უდგათ გვრიტინი
მზესა და მწყერებს.
ამას ხატავენ,
ამაზე წერენ...
და მაინც, არვის
არ შეუძლია
დახატოს, რასაც
ბავშვობა ჰქვია.
და მაინც ვხატავ:
თეთრი თემშარა...
ჩემი მოხუცი
შავი თავშალით
და საყვარელი
თბილი ხელებით,—
აწ რომ ვერასდროს
მივეფერები.
თვალი სავსე მაქვს
ტკბილი ცრემლებით,—
შენ ხარ ბავშვობა
და გეფერები.
და მშვენიერი,
დიდი წვიმები
ქუქუნა თვალებს
არ მაცილებენ...



## სარკმელს აღებენ

იისფერ გზებით
სახლში ვბრუნდები
და მათთვის მიმაქვს
ჭრელი ბურთები,
ძალიან დიდი,
ჭრელი ბურთები.
როგორც შოშიებს,
როგორც ნარჩიტებს
მე მათ ვაპურებ
და ეს მამშვიდებს.
და გაზაფხულის
თეთრი ბაღები
უფრო და უფრო
მაჩირაღდნებენ.
და მოლოდინში
ჩემი ბალღები
მინის წკრიალით
სარკმელს აღებენ,
სარკმელს კი არა—
ზეცას აღებენ.
ეს ხომ... თქმაც ვეღარ
გამიბედია,—
ეს ოცნებაზე
უფრო მეტია.
და მითრთის სულში
მსუბუქი ზეცა.
და ვამბობ ჩუმად:
— დედა ვარ მეცა!
და მოლოდინში
ჩემი ბალღები
წკრიალ-წკრიალით
სარკმელს აღებენ!

**ნაზი კილასონია.**

## გაზაფხულმა შემოგვცინა



გაზაფხულმა შემოგვცინა,
ცა კაშკაშებს...
რა დარია!
ქლურტულებენ ფრინველები,
ტყე—წალკოტის სადარია.
მწვანედ რომ აბოლებულა,—
ჩვენი ეზოს ჭადარია.
დღეს ბუნების დღეობაა,
ირგვლივ ფერთა ღადარია.

მზემ მთაწმინდა გადაკოცნა,
მტკვარი სულ მთლად გადარია.
ტოტი კვირტებს დაუხუნძლავს—
ასაფრენად მზად არიან.

...გაზაფხულმა შემოგვცინა,
ცა ჩახჩახებს...
რა დარია!

**ქეთევან მიქაძე.**

## ზამთარი

თეთრად, თეთრად გაფიფქულა
ჩვენი მთა და ჩვენი ველი,
როგორ მინდა ციგაობა,
რა ხანია ზამთარს ველი.

აბა, მოდით, ვიგუნდაოთ—
შაქრო, გივი, გაგა, ქეთო,
ჩვენს ეზოში ერთი დიდი
თოვლის პაპაც გავაკეთოთ.

**ნელი ლარსაველიძე.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო
კეცხოველი

მხატვარი
იური
ძლიბაძე

# ცხრათვალა მზის ქვეყ



## ქვესკნელის ზოოპარკი

მზე უკვე გადახრილი იყო.

— თუ არ დაიღალეთ, ერთი თხუთმეტიოდე კილომეტრი კიდევ გავიაროთ და „მოგზაურ თევზებსაც“ ვნახავთ,—უთხრა გიორგიმ თავის ვაჟებს.

— როგორ თუ დავიღალეთ! ვინ თქვა, დაიღალნენო?—წამოიძახა ვახტანგმა და ერეკლეს ხელი წაჰკრა:

— ადე, ბიჭო, თორემ აქ მოგზაური თევზები ყოფილან, გუდა-ნაბადი აუკრავთ და, თუ ჩქარა არ ვიარეთ, ვეღარც კი დავეწევით თურმე.

სახედრები სწრაფად დააბარგეს და მალე ყველანი ნათლიცემის ვიწრო ბილიკზე გამწკრივდნენ.

აქა-იქ თითო-ოროლა ნუში, ლეღვი და თუთა კიდევ ჩანდა,—დაჩაგრულნი, ტოტებჩამომტვრეულნი, დაბეჩავებულნი.

— თითქმის 50 წელია, აქაურობა უკაცრიელია და ესენი მაინც ცოცხლობენ,—თქვა პავლემ ნაღვლიანად.—პატრონებს ელიან,—იქნება მოვიდეს ვინმე პატიოსანი კაცი, წყალი დაგვისხას, წელში გაგვმართოსო. წელან ერთი ვაზი ვნახე, არა, ვაზი კი არა, ვაზის ძირი, პატარა რქა ამოუტანია. წერაყინით მოვუჩიჩქნე მიწა. პატარა ყორეც შემოვავლე. რა დაგიმალო და, ცოტა წყალიც გავიმეტე, დავუსხი.

— კაცო, წყალი ისედაც ცოტა გვაქვს და...

— საქმეც ისაა, ცოტადან გაიმეტო, თორემ ბევრიდან რა გამეტება უნდა! ჩვენ მივალთ წყალთან, ვაზი კი—ვერა. წყალს რომ დავუსხამ, ვაზი გაცოცხლდება, ყურძენს მოისხამს.

— მერე შენ რა?

— როგორ თუ რა? ეს ქვეყანა რომ მარტო ჩემზე ყოფილიყო აშენებული, აქამდე ვერ მოვიდოდა. მაგის ნაყოფი რომ ვინმემ ნახოს, დაილოცება და ესეც კარგია. კაცი რომ სხვას ლოცავს, მაშინ კარგი გული აქვს და, თუ ვილაცას გული გავუხალისეთ, ცოტაა? ვაზი ჩვენი მიწის მშვენებაა. ჩემო გიორგი, აბა შენ რა გესწავლება!..

უცბად რაღაცამ შეიფრთხიალა და რუკრუკით თავზე გადაუარათ. კაკბები იყვნენ. აქ ხომ სწორედ საკაკბე ხევები, ბუჩქები და ბალახებია. ბიჭებმა თვალი გააყოლეს. ხოხობზე ნაკლებ ლამაზები არც ესენი ყოფილანო,—ესღა თქვეს.

ქარავანი ნელ-ნელა ეშვებოდა ქვევით, ხევისკენ.

— ეგ მრავალწყალი უნდა იყოს,—მიუთითა პავლემ.

— მრავალი კი არა, ცოტაც არა ჩანს.

— ხომ იცი, ცოტაც მრავლად ჩანს იქ, სადაც არაფერია...

გაჰყვნენ ურორიანს. აქ ურო ისე სქლად იყო, რომ ფეხქვეშ მისი ბუსწო ზამბარაკივით იკუმშებოდა და იშლებოდა. მალე ცოტა ხირხატიან ფერდობს შეუყვნენ და უროც გაიშვიათდა. მისი ადგილი წივანიანმა დაიჭირა. წივანას პატარ-პატარა „ქუჩები“ ურთიერთისაგან 20-40 სანტიმეტრით იყო დაცილებული და ამ თავისუფალ ადგილებში ახლა ურცი და ბეგქონდარა ჰყვაოდა. მათს მოვარდისფერო ყვავილებს მხარს უმშვენებდა ქართული და მტკვრის საზეგველა, რომელთა მოწითალო ყვავილები კაშკაშა მზის სხივებზე კიდევ უფრო ლამაზად გამოიყურებოდნენ. მაგრამ გაღმა ბექობზე რომ სპილოს ძვლისფერ ყვავილებიანი საზეგველები მოჩანდა, მათ ვერ შეედრებოდნენ. ამ საზეგველებს უფრო მკაფიო და დიდი ყვავილები ჰქონდათ, ამიტომ მათი მტევნები ყველა დანარჩენებს შორის მკვეთრად მოჩანდა.

— ამდენი ერთად—რა ამბავია?

— ეგ კახური საზეგველაა. ესეც ამ მხარისათვის, მშრალი ადგილებისათვის, ტიპიურია. ენდემი ხრიოკებზე კარგად ძლებს და სიმრავლით ასეთ ადგილებში სხვასა სჯობნის, ხშირად ვაციწვერასთანაც იზრდება.



გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2.



გიორგიმ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და ბუყვა სერს. სამხრეთ ფერდოზე, კახურ საბეგველიანში რომ გადაიხედა, ოთხი უზარმაზარი ბალახოვანი ბუჩქი შეამჩნია. მათი დანაკვთული ფოთლები ნახევარი მეტრი სიგრძისა მაინც იქნებოდა, არც სიგანე ჰქონდათ ნაკლები. ისე გაშლილიყვნენ, რომ ჩანდა, გვალვისა არ ეშინოდათ.

— ეს ქარქვეტაა. შესანიშნავად უძლებს გვალვას. მაგის ნორჩ ყლორტებს წნილად სდებენ; კარგი, თავისებური გემო და სურნელება აქვს.

— „ქარქვეტაო, ქარქვეტაო, ჩვენი მტრების გაწყვეტაო",—მოაყარა მარილი ძია პავლემ.—ბავშვობაში ვიცოდით ეგ სიმღერა.

მალე ბილიკი კვლავ ქვევით ჩაჰყვა. წინ გადაშლილი იყო ყარაიის ველი. მხარმარჯვნივ რუსთავის ქარხნების ბოლი მოჩანდა.

— „ყარაია"—თურქული წარმოშობის სახელწოდებაა, ქართულად „შავ გაზაფხულს" ნიშნავს. კაცი ვერ გაიგებს, რად. ალბათ იმიტომ,—სანამ ბალახი გაიშლება, შავად ჩანს; ნაზამთრ ყარღანდასა და აბზინდას შავი ფერი გადაჰკრავს, სველი მიწაც შავია.

მრავალწყალას ხევს ჩაჰყვნენ. წყალი არ ჩანდა, მაგრამ ალაგ-ალაგ ლელს დაეფარა კალაპოტი, რაც იმის ნიშანი იყო, რომ წყალი, თუნდაც გრუნტისა, ახლო უნდა ყოფილიყო. აქა-იქ ქაცვი და ფშატიც ჩანდა.

— ფშატიანხევი ეს ხომ არაა?

— არა, ფშატიანხევი აგერ, გაღმა ჩანს, იქ ფშატი არც არის.

— ეგ როგორ?

— ვაზიანში ვაზი არ არის, კაკლიანში—კაკალი, მუხიანში—მუხა,—ჩაიღიმილა პავლემ.

ნახევარი კილომეტრიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ წყლის ჩხრიალი შემოესმათ• კბოდეს ძირიდან ანკარა წყალი გადმოდიოდა და ქვიშაში მიიკვლევდა გზას.

— სახედრებს წყალი დავალევინოთ,—თქვა პავლემ და ხევში ჩასასვლელი ადგილი მოათვალიერა. მალე იპოვა კიდეც. წინა სახედარს აყაფში ხელი წაავლო და ჩაუძღვა. სახედრები ანკარა წყალს დაეწაფნენ. დილას აქეთ არ დაელიათ. წყალი სასიამოვნოდ გრილი იყო, ოდნავ მომლაშო. პირზე შეისხეს, შეისვენეს და ხევ-ხევ გაჰყვნენ. მათ წინ ცუხცუხით მიმავალმა წკრიალამ უცებ ყურები აცქვიტა, შედგა და წინ გადახტა. გადახტა და... იმწამსვე ბუჩქებიდან მხარზე ყურებგადაწყობილი კურდღელი გამოვარდა. ისეთი ფაცხაფუცხით მიჰქროდა, რომ წკრიალა კი არა, გრძელკანჭა მწევარიც ვერ დაეწეოდა.

ბიჭებმა ყიჟინა დასცეს. კურდღელი კბოდეს ქიმს მიეფარა. როდის-როდის გამოჩნდა ენაგადმოგდებული წკრიალა.

ცოტა ხნის მერე ხევის ძირას, ქვიშაში, ნაკადულიც გაქრა. გაქრა და აღარ გამოჩნდა. მართალია, უდაბნოს დიდ მდინარესავით არ იკარგებოდა, მაგრამ, როგორიც უდაბნო იყო, ისეთი ხმელხევიც ჩანდა.

ხევიდან ამოვიდნენ და მის მარჯვენა ნაპირს გადაჰყვნენ. აქ უკვე აღარ ჩანდა ურო და წივანა. ნაცრისფერი აბზინდა ბატონობდა ირგვლივ. ალაგ-ალაგ ხურხუმო და ყარღანი, შორაქნის ცოცხი და ჩარანი ჩანდა.

აბზინდებს შორის გამხმარი ეფემერის ღეროებიღა იყო, რომელთაც ფეხქვეშ ტკაცტკუცი გაჰქონდათ და ილეწებოდნენ. ეფემერებს, ამ ერთწლიან ბალახებს, უკვე დაეყვავილებინათ და მიწაში ჩაებნიათ თესლი.

ყველა თავის ფიქრმა წაიღო. გადაწვერილი მზის სხივები გრძელ ჩრდილოებს შლიდა ველზე. ნიავი ოდნავ ასისინდა. მიწა მშრალი იყო და ფეხიდან ავარდნილი მტვერი უკან რჩებოდა. ირგვლივ, კარგა მანძილზე, თვალს არაფერი ახარებდა. იცოდნენ, რომ მხარმარცხნივ იყო ნათლიცემი, ჩიჩხიტური, უდაბნო, ლავრა და ეს ამაგრებდა მათ გულს ამ „შავი გაზაფხულის" მადამოებში. შორს, დასავლეთით, მტკვრის გასწვრივ, ჭალა მოჩანდა.

— არ მომწონს, მართლაც შავი გაზაფხულია,—თქვა ერეკლემ.

— სამაგიეროდ, ამ ბალახების ღერო და ფოთოლი ზამთარშიც კარგად ძლებს, არ ჭკნება და ჩვენი ცხვრის საძოვარიც ეგაა; ისე ახრამუნებს, ჩემო ერეკლე, როგორც შენ ქორფა კიტრს ჩაახრამუნებ ხოლმე. ერთი ზამთარი მეც გამიტარებია ჩემს ახალგაზრდობაში ამ ველებში. თავზე თოვლჭყაპი დაგდის, დგახარ ჯოხზე დაყრდნობილი, ხმის გამცემიც არავინაა ახლომახლო. განა ახლანდელი დრო იყო! ახლა შერეკავ გამართულ ფარეხში ცხვარსა და მიუჯდები რადიოსა. აგერ, ამბობდნენ, ელდარში ტელევიზორებიც აქვთო...







ვერ გაიგებდი, მოსწონდა ეს ძია პავლეს თუ არ მოსწონდა, თუ ძველი დროის აუგს ამბობდა.

— კარგია, მაგრამ...—და აღარ დაამთავრა.

მზე უკვე ჩაიწვერა, ლურჯ მთებს შეეხო. გამოჩნდა ლელიანი, მოშორებით—რამდენიმე შენობაც.

— ესეც ჯანდარის ტბა. ალბათ ჭანდრისა ერქვა.

— რუსთავიდან გამოყვანილი ყარაიის არხი აქ ჩამოდის, წყალი აქ იკრიბება, როდესაც იგი სარწყავად არ იხარჯება.

ჯანდარის ტბა თბილისს 50 კილომეტრითაა დაცილებული. საკმაოდ დიდია, სიგანე ორი კილომეტრი ექნება, სიგრძე-ხუთი. იგი ხელოვნური ტბაა. გარდაბნის მთავარი სარწყავი არხი აქა მთავრდება, გარეჯის მთის წინა კალთების ტაფობში. გარე წრე 17-18 კილომეტრს უდრის. საშუალო სიღრმე ოთხი მეტრია, მაქსიმალური—ცხრა. მხოლოდ არხის წყლით ივსება. წვიმის წყალი და თოვლის ნაჟური თუ მიემატება ხოლმე. ფსკერზე წყაროები არ არის.

დღევანდელ არხს, როგორც ჩანს დიდი ისტორია აქვს. რუსთავს ტყუილა ხომ არ ერქმეოდა „რუსთავი". ვახტანგ VI აქედან გაიყვანა სარწყავი რუ, ალბათ—ნარუალზე. ჩვენი შემდგომიავბედობის დროს იგი მოიშალა და მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში კვლავ აღადგინეს და მოქმედებს დღემდე. მხოლოდ 1928-30 წლებში მოხდა სათავის რეკონსტრუქცია. ტბა თევზით მდიდარია. მთავარი სარეწავი თევზია კობრი; ყოველწლიურად საშუალოდ ას ორმოც ცენტნერს იჭერენ; იყო შემთხვევა, როდესაც 700 ცენტნერზე მეტი დაიჭირეს. კობრი აქ მოყვანილი და ხელოვნურად მოშენებულია. მტკვრიდან აქ შემოვიდნენ და დასახლდნენ ლოქო, ჭანარი, ხრამული, წვერა, მურწა, შამაია, ჭერეხი, ფრიტა, ეს ორი უკანასკნელი მავნებელიც კია თურმე,— ქვირითსა და ლიფსიტებს ანადგურებს. დასავლეთ საქართველოდან კობრს გადმოყვა ტაფელა.

სახედრები განიერ შარაზე გავიდნენ, მტვერში კოჭებამდე ეფლობოდნენ და ერთი კორიანტელი ააყენეს. პავლემ გზის პირისაკენ გადმორეკა ისევ და აზზინდიანით განაგრძეს გზა.

— ძია არსენ, გამოიხედე კარში!—შესძახა გიორგიმ, როდესაც თევზის მეურნეობის ერთ-ერთ სახლს მიუახლოვდნენ.

ძია არსენა გულმხურვალედ დახვდა, ისე იღიმებოდა და ისე შველოდა ბარგის ჩამოღებაში, გეგონებოდა, დიდი ხნის უნახავი ძმა და ძმისწულები მოუვიდნენო.

— კაცო, ეგრე უნდა? რამდენი ხანია აღარ გამოგივლია. რაკი ნადირობაზე ხელი აიღე, მებალახეობაზე ხო არ აგიღია? ეგ შენი ბიჭებია? გაგეზარდოს. მამას დაემსგავსონ.

— ეე, ეგ კი ვეღარ გამოგივიდა. ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო,—ჩაერია პავლე.

— კვიცი გვარზე ხტისო—ეგ რაღად დაგავიწყდა? შენ ეგ გირჩევნია, ჩემო პავლე, რომა ეგ შენი ბედაურები აი, მწვანეზე დააბა, შორს გაშვება არ იქნება—ლეკვებიანი მგელი დადის, ფშატიანის ხევში უნდა ჰქონდეს ბინა.

— მერედა, მახეების ოსტატი შენა ხარ და რაღას უცდი?

— მახე დავაგე და დილით ჩავყვეთ ერთი მაგ შენი ხირიმით.

მალე ყველანი ტბას მიადგნენ. რომლის ზედაპირი საღამოს სიოზე ოდნავ ირხეოდა.

საიდანღაც იხვების გუნდი მოფრინდა, შემოავლო წრე და ლელიანებში ჩაეშვა.

— აქ იხვები ბევრი იცის, ბატებიც მოდიან, ერთი ორჯერ გედებიც კი მოფრინდნენ; მაგრამ მაინც ზამთარია უფრო იხვ და ბატმრავალი. ჩრდილოეთიდან რომ მოფრინავენ, ერთ-ერთი გზა ესეცაა, აქ ისვენებენ, აქ სხდებიან. ზოგი მთელი ზამთარი აქა რჩება. განსაკუთრებით მაშინ, როცა თბილი ზამთარია. ამ დროს ლელიანებში წეროც ბევრი ჩანს. წერო ქციისა და მტკვრის პირებზეც ბევრი რჩება. ბატიც ბევრია მაგრამ, მტერიც ბევრი ჰყავს: კატუნი—გარეული კატა და წყლის კატა, მელაც, ქორიცა და მიმინოც.

განა მარტო ბატი და იხვი რჩება. აი, მწყერი ხომ მიდის და მიდის, მაგრამ თბილ ზამთარში, უროიანებში, ან კიდევ ნაჩხატებში ცოტა როდი გვხვდება ხოლმე,— ჰყვებოდა არსენა, ჯანდარის წყალსატევის მეთვალყურე, და თან ბადეს არჩევდა.



— გავიდეთ ტბაზე და ცოტა კობრი დავიჭიროთ.

ნავში ბალღები ჩასხდნენ, შალვამ და გიორგიმ კი მასალების ჩალაგებას მიჰყვეს ხელი. ის იყო მორჩენ ამ საქმეს. რომ ტბის ნაპირიდან მხიარული კისკისი მოისმა. ვახტანგსა და ერეკლეს თითო უზარმაზარი კობრი ეჭირათ ხელში. მოარბენინეს და ძამის გვერდით დააგდეს, თან მხიარულად უამბობდნენ:

ძალიან ღონივრები ყოფილან, ბადე კინაღამ გამოგვტაცეს ხელიდან. ძია არსენამ,

სანამ ამას დავიჭერდით, ერთი ხუთი-ექვსი კობრი მაინც გადაუშვა წყალში, ამათ ჯერ კიდევ აკლიათო გაზრდა. თურმე ეს კობრი რუსეთიდანაა ჩამოყვანილი და აი ამ „შავი გაზაფხულის“ ველის ტბას კარგად შეჰგუებია.

საკმაოდ შეღამებული იყო, როდესაც ვახშამს შემოუსხდნენ.

— ნუ გეშინიათ, ამაღამ შინ დაგაწვენთ. ოთხი ოთახი მაინცაა ცარიელი და კოლო ვერას დაგაკლებთ.

სწორედ ამ დროს ერეკლემ კისერზე შემოიკრა ხელი. სილამ ტკაცუნი გაიღო. ვახტანგს სიცილი წასკდა, მაგრამ მის კისერსაც იგივე ბედი ეწია. იყო სიცილი და მხიარულება. ასეა ხოლმე, როცა მასპინძელი გულღიად დაგხვდებათ.

დილაადრიანად არსენა და ძია პავლე კარში დაფათურობდნენ. ერეკლემ ბადეაკრულ ფანჯრიდან მოკრა მათ თვალი.

— ასე ადრე რამ აგაყენათ?

ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო, ხომ გაგიგონია?—უპასუხა ძია პავლემ.

ბიჭებმა ხელად ჩაიცვეს ტანთ და უფროსებს გვერდში ამოუდგნენ.

ფშატიანხევს ქვევით ჩაჰყვნენ. იგი ნათლიცემისა და უდაბნოს ქედის გასწვრით მიდიოდა.

ნახევარი საათის სიარულის შემდეგ არსენამ ხევში გადაიხედა.

— გაბმულა, უეჭველად გაბმულა!

ბიჭები ვერას ხედავდნენ და გაკვირვებულებმა შეხედეს არსენას. ისიც მიუხვდა.

— საქმე იმაშია, რომ მახე რკინისაა, გრძელი, კავიანი ჯაჭვი აბია. როდესაც ნადირი მახეში გაებმება, გაიწევს და მახეს აითრევს, შორს კი ვერ მიდის—კავი და ჯაჭვი უშლის. მახე რომ არ აჰყვეს, ფეხს გადაიჭამს. შორს არ იქნება წასული. აბა, პავლე, თოფი მარჯვედ!

კბოდის პირს ჩაჰყვნენ და მალე, ქვემოთ, ერთი ფშატის ძირას, დაინახეს გაბოროტებული, კბილებდაკრეჭილი ძუ მგელი.

პავლემ აღარ დააყოვნა და... იგრიალა თოფმა.

— შენ გაატყავე, არსენა. ახლომახლო მაგის ბუნაგიც იქნება, ლეკვები ამოვსხათ.

— ლეკვებს რაღას ერჩით?!

— „თხას უთხრეს: მგელი მოკვდაო, თხამ კუნტრუში ქნა, გაიქცა.

— თხაო, რა გაგხარებია? განა სამგლეთი დაიქცა?

იმას რო დარჩა ლეკვები, ისინიც მგლებად მაიქცა“,—უთხრა ძველი ლექსი ძია პავლემ გულკეთილ ერეკლეს.

მგლის ხუთი ლეკვითა და ტყავით დაბრუნდნენ უკან ჩვენი მონადირენი.

ამის მერე არსენას გამოემშვიდობნენ, კვლავ შეუდგნენ უდაბნოს ქედისკენ მიმავალ ბილიკს.

გადიარეს ჯერ ხურხუმოთი დაფარული მინდორი, შემდეგ ვრცელ აკშნიანს გაუყვნენ. აქ, ეფემერების გარდა, ეფემეროიდებიც იყვნენ.

— აბა, მითხარი, ეფემეროიდები რანი არიან?—ჰკითხა შალვამ ვახტანგს.

— ეფემეროიდები ბოლქვ-ტუბერ-ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეებია, რომელნიც ადრე ჰყვავიან და შემდეგ მთელ ზაფხულს მიწაში ატარებენ,—თქვა ვახტანგმა იგივე კილოთი, როგორითაც შალვა უხსნიდა ხოლმე.

გაზაფხულზე აქ ჰყვავის ენძელა, ზაფრანა, ყაზანა, ეიხლერის ტიტა, ბადიანა ზამბახი, ქართული ზამბახი, თეთრყვავილა, ძაღლნიორა, გარეული ხახვები და კიდევ მრავალი სხვა, ერთმანეთზე თვალისმომჭრელი და ლამაზი. პირველად მარტო მათი ყვავილი ჩანს. მაგრამ ერთ კვირაში მიწის მთელი თავისუფალი არე ტუბერიანი თივაქასრა' ხასხასა მწვანე მოლით იფარება. აქ აგრეთვე იშვიათი არ არის შვრიელა და მისთანანი, ყველა ესენი სწრაფად ამთავრებენ სიცოცხლეს, მიწისქვედა ნაწილებში: ბოლქვში (ძაღლნიორა, ტიტა, ენძელა, ყაზახა), ტუბერში (ტუბერიანი ნემსიწვერა), ფესურაში (ზამბახები) აგროვებენ საზრდო ნივთიერებებს, რის შემდეგაც უხმებათ მიწისზედა ნაწილი, აბნევენ თესლს და ისვენებენ მიწაში მომავალ გაზაფხულამდე. ქარს შორს მიაქვს მცენარის გამხმარი ნაწილები და რჩება მხოლოდ მუქი მიწა, ზოგჯერ ხაშურით დაფარული. ზაფხულში აქ საქონელს არა ესაქმება რა,—იგი არ ჭამს აბზინდას, რადგან მის ღეროში და ფოთლებში ფრიად მკვეთრსუნიანი ეთეროვანი ზეთებია. სანამდე ყინვა არ მოხვდება და ამ ზეთებს არ დაშლის, საქონელი მას საჭმელად არ მიეკარება.

ჩვენმა მგზავრებმა გადასჭრეს მრავალწყალას ხევი და უდაბნოს ოდნავ დახრილ ფერდოს აჰყვნენ.







(გაგრძელება 25-ე გვერდზე)

სანამ ამას დავიჭერდით, ერთი ხუთი-ექვსი კობრი მაინც გადაუშვა წყალში, ამათ ჯერ კიდევ აკლიათო გაზრდა. თურმე ეს კობრი რუსეთიდანაა ჩამოყვანილი და აი ამ „შავი გაზაფხულის“ ველის ტბას კარგად შეჰგუებია.

საკმაოდ შეღამებული იყო, როდესაც ვახშამს შემოუსხდნენ.

— ნუ გეშინიათ, ამაღამ შინ დაგაწვენთ. ოთხი ოთახი მაინცაა ცარიელი და კოლო ვერას დაგაკლებთ.

სწორედ ამ დროს ერეკლემ კისერზე შემოიკრა ხელი. სილამ ტკაცუნი გაიღო. ვახტანგს სიცილი წასკდა, მაგრამ მის კისერსაც იგივე ბედი ეწია. იყო სიცილი და მხიარულება. ასეა ხოლმე, როცა მასპინძელი გულღიად დაგხვდებათ.

დილაადრიანად არსენა და ძია პავლე კარში დაფათურობდნენ. ერეკლემ ბადეაკრულ ფანჯრიდან მოკრა მათ თვალი.

— ასე ადრე რამ აგაყენათ?

ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწევარიო, ხომ გაგიგონია?—უპასუხა ძია პავლემ.

ბიჭებმა ხელად ჩაიცვეს ტანთ და უფროსებს გვერდში ამოუდგნენ.

ფშატიანხევს ქვევით ჩაჰყვნენ. იგი ნათლიცემისა და უდაბნოს ქედის გასწვრივ მიდიოდა.

ნახევარი საათის სიარულის შემდეგ არსენამ ხევში გადაიხედა.

— გაბმულა, უეჭველად გაბმულა!

ბიჭები ვერას ხედავდნენ და გაკვირვებულებმა შეხედეს არსენას. ისიც მიუხვდა.

— საქმე იმაშია, რომ მახე რკინისაა, გრძელი, კავიანი ჯაჭვი აბია. როდესაც ნადირი მახეში გაებმება, გაიწევს და მახეს აითრევს, შორს კი ვერ მიდის—კავი და ჯაჭვი უშლის. მახე რომ არ აჰყვეს, ფეხს გადაიჭამს. შორს არ იქნება წასული. აბა, პავლე, თოფი მარჯვედ!

კბოდის პირს ჩაჰყვნენ და მალე, ქვემოთ, ერთი ფშატის ძირას, დაინახეს გაბოროტებული, კბილებდაკრეჭილი ძუ მგელი.

პავლემ აღარ დააყოვნა და... იგრიალა თოფმა.

— შენ გაატყავე, არსენა. ახლომახლო მაგის ბუნაგიც იქნება, ლეკვები ამოვსხათ.

— ლეკვებს რაღას ერჩით?!

— „თხას უთხრეს: მგელი მოკვდაო, თხამ კუნტრუში ქნა, გაიქცა.

— თხაო, რა გაგხარებია? განა სამგლეთი დაიქცა?

იმას რო დარჩა ლეკვები, ისინიც მგლებად მაიქცა“, — უთხრა ძველი ლექსი ძია პავლემ გულკეთილ ერეკლეს.

მგლის ხუთი ლეკვითა და ტყავით დაბრუნდნენ უკან ჩვენი მონადირენი.

ამის მერე არსენას გამოემშვიდობნენ, კვლავ შეუდგნენ უდაბნოს ქედისკენ მიმავალ ბილიკს.

გადიარეს ჯერ ხურხუმოთი დაფარული მინდორი, შემდეგ ვრცელ აკშნიანს გაუყვნენ. აქ, ეფემერების გარდა, ეფემეროიდებიც იყვნენ.

— აბა, მითხარი, ეფემეროიდები რანი არიან?—ჰკითხა შალვამ ვახტანგს.

— ეფემეროიდები ბოლქვ-ტუბერ-ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეებია, რომელნიც ადრე ჰყვავიან და შემდეგ მთელ ზაფხულს მიწაში ატარებენ,—თქვა ვახტანგმა იგივე კილოთი, როგორითაც შალვა უხსნიდა ხოლმე.

გაზაფხულზე აქ ჰყვავის ენძელა, ზაფრანა, ყაზანა, ეიხლერის ტიტა, ბადიანა ზამბახი, ქართული ზამბახი, თეთრყვავილა, ძაღლნიორა, გარეული ხახვები და კიდევ მრავალი სხვა, ერთმანეთზე თვალისმომჭრელი და ლამაზი. პირველად მარტო მათი ყვავილი ჩანს. მაგრამ ერთ კვირაში მიწის მთელი თავისუფალი არე ტუბერიანი თივაქასრა' ხასხასა მწვანე მოლით იფარება. აქ აგრეთვე იშვიათი არ არის შვრიელა და მისთანანი, ყველა ესენი სწრაფად ამთავრებენ სიცოცხლეს, მიწისქვეშა ნაწილებში: ბოლქვში (ძაღლნიორა, ტიტა, ენძელა, ყაზახა), ტუბერში (ტუბერიანი ნემსიწვერა), ფესურაში (ზამბახები) აგროვებენ საზრდო ნივთიერებებს, რის შემდეგაც უხმებათ მიწისზედა ნაწილი, აბნევენ თესლს და ისვენებენ მიწაში მომავალ გაზაფხულამდე. ქარს შორს მიაქვს მცენარის გამხმარი ნაწილები და რჩება მხოლოდ მუქი მიწა, ზოგჯერ ხაშურით დაფარული. ზაფხულში აქ საქონელს არა ესაქმება რა,—იგი არ ჭამს აზნინდას, რადგან მის ღეროში და ფოთლებში ფრიად მკვეთრსუნიანი ეთეროვანი ზეთებია. სანამდე ყინვა არ მოხვდება და ამ ზეთებს არ დაშლის, საქონელი მას საჭმელად არ მიეკარება.

ჩვენმა მგზავრებმა გადასჭრეს მრავალწყალას ხევი და უდაბნოს ოდნავ დახრილ ფერდოს აჰყვნენ.

(გაგრძელება 25-ე გვერდზე)





ეროვნული ბიბლიოთეკა



ევგენი მაჭავარიანი

# ოპერა

მუსიკალური ხელოვნების ყველა ჟანრს თავისი სპეციფიკა, გარკვეული თავისებურებანი ახასიათებს. წინა წერილში ჩვენ მოკლედ განვიხილეთ საოპერო ჟანრის შექმნის ისტორია და განვითარების გზები, ახლა ვილაპარაკოთ თვით საოპერო ნაწარმოების ფორმაზე, ჟანრულ თავისებურებაზე.

არსებობს თუ არა საოპერო ნაწარმოების ერთი, დაკანონებული ფორმა? ცხადია, არა. თანამედროვე კომპოზიტორების უსასრულო ძიებებს რომ თავი დავანებოთ, კლასიკური მუსიკის მემკვიდრეობაშიც ვერ ვნახავთ ორ ერთნაირ, ერთი პრინციპით აგებულ ნიმუშს. ერთი და იგივე შინაარსის მიხედვით დაწერილი ოპერები განსხვავდებიან არა მარტო მუსიკალური მასალით, არამედ თვით ამ ერთი და იგივე შინაარსის სხვადასხვანაირი გაგებით. მაგრამ რაოდენ თავისებურადაც არ უნდა იყოს ავტორის მიერ გაგებული და გამოყენებული საოპერო ჟანრის ტრადიციული თვისებები, ყველა საოპერო ნაწარმოებში შეხვდებით აუცილებელ ფორმებს — **უვერტიურას, არიას, რეჩიტატივს, ანსამბლებსა და გაშლილ ვოკალურ სცენებს.**

გავეცნოთ **ზ. ფალიაშვილის პოპულარულ ოპერა „დაისს“.**

ვესტუმროთ ჩვენს საოპერო თეატრს.

აქ, დარბაზში შესვლისთანავე, შემოგთავაზებენ პატარა წიგნაკს, ე. წ. **ლიბრეტოს**. ეს იტალიური სიტყვა პატარა წიგნს, წიგნაკს ნიშნავს. ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: ლიბრეტო, ერთის მხრივ, მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოების სიტყვიერი ტექსტია, მეტწილად — ლექსად დაწერილი. თავისთავად ლიბრეტოს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ კარგად დაწერილი ლიბრეტო კომპოზიტორს ხელს უწყობს მუსიკალური შინაარსის სრულყოფილად გადმოცემაში, ამიტომ ლიბრეტოს ავტორის თანამშრომლობა მუსიკის ავტორთან საოპერო ნაწარმოების შექმნისათვის აუცილებელი პირობაა (ზოგჯერ კომპოზიტორი თვითონ ქმნის ლიბრეტოს — მაგალითად, რ. ვაგნერი, მ. მუსორგსკი).

„დაისის“ ლიბრეტოს ავტორია ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ვალერიან გუნია.** შინაარსში მას გამოყენებული აქვს შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა ფშაველასა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებების ფრაგმენტები.

მაგრამ ის ლიბრეტო, რომელსაც საოპერო თეატრის დარბაზში შესვლისას გვაძლევენ, არსებითად სპექტაკლის პროგრამას წარმოადგენს. მასში გადმოცემულია ნაწარმოების მოკლე შინაარსი, ჩამოთვლილია მოქმედი პირები და შემსრულებლები. საოპერო სპექტაკლი იქმნება მრავალი ადამიანის ენერგიისა და შრომის გაერთიანების შედეგად. ოპერის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით მათ, ვინც ეს ენერგია გააერთიანა ერთ მთლიანობაში, ვინც განახორციელა კომპოზიტორისა და ლიბრეტოს ავტორის ჩანაფიქრი. ესენია: **სპექტაკლის დირიჟორი** (სწორედ მისი მუსიკალური ხელმძღვანელობითაა მიღწეული სოლისტების, მრავალრიცხოვანი გუნდისა და სიმფონიური ორკესტრის ხმოვანების შერწყმა); **დამდგმელი რეჟისორი** (ხომ არ დაგავიწყდათ, რომ სიტყვა „ოპერა“ მოქმედებას ნიშნავს და მასში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკალური შინაარსის შესატყვის სცენიურ ასახვას); **მხატვარი,** რომელიც, მუსიკის შინაარსიდან გამომდინარე, პოულობს შესაფერის მხატვრულ გაფორმებას: **ცეკვების დამდგმელი — ქორეოგრაფი.** გაიხსენეთ, რა საინტერესო საბალეტო ნომრებია „დაისში“. ლიბრეტოდანვე ჩვენ გავიგებთ, თუ ვინ ასრულებს როლებს სპექტაკლში, გავეცნობით კონცერტმეისტერებს (პიანისტებს), რომლებიც ეხმარებოდნენ მომღერლებს თავიანთი პარტიების (მუსიკალური როლების) შესწავლაში; ხორმეისტერს (ლოტბარს), რომელიც ამზადებდა საგუნდო სიმღერებს; მხატვარს, რომელმაც გრიმი მოამზადა, და ასე შემდეგ — სპექტაკლის თითოეულ მონაწილეს, ელექტრო-ტექნიკოსისა და სცენის მუშის ჩათვლით...

დარბაზში თანდათანობით ქრება სინათლე. განათებულია მხოლოდ ორკესტრი. გამოჩნდა დირიჟორიც, ისმის ოპერის შესავალი.

ხშირად „შესავლის“ მაგივრად ხმარობენ ფრანგულ სიტყვას „უვერტიურას“. განსხვავება არა მარტო მნიშვნელობაშია (უვერტიურა გახსნას, დაწყებას ნიშნავს), არამედ ფორმაში. საოპერო ჟანრის განვითარების ეტაპზე ჩამოყალიბდა გარკვეული ტიპის გაშლილი საორკესტრო პიესები, რომლის შესრულებითაც იწყებოდა ოპერა. უვერტიურაში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც წესი, გამოყენებულია ის მუსიკალური მასალა, ნაჩვენები და განვითარებულია ის სახეები, ის თემები, რომლებიც შეგვხვდება შემდგომ მოქმედებაში. უვერტიურა თითქოს გვაუწყებს ნაწარმოების განწყობილებას, იძლევა მოქმედ პირთა მუსიკალურ „დახასიათებებს“. შესავალს შეესატყვისება სხვა ტერმინი — ინტროდუქცია. მისი ფორმა, უვერტიურისაგან განსხვავებით, უფრო თავისუფალია, უფრო მარტივია მასალის დამუშავების მხრივ. იგი მცირეა, მაგრამ მაინც მოიცავს ძირითად მუსიკალურ სახეებს.

„დაისის“ შესავალიც ასეთია. ვის არ ახსოვს ეს შესანიშნავი მუსიკა! ჰობოის მელოდია — ნათელი, „მწყემსურად“ მღერადი — თითქოს აქვე იქმნება, უშუალო შთაგონების შედეგად. თემის ჩუქურთმა ღებულობს სულ უფრო ნათელ, საზეიმო სურათს, მაგრამ მას ცვლის მეორე თემა — აღტკინებული, მღელვარე. ეს ხომ სასიკვდილოდ დაჭრილი მალხაზის გამოთხოვებაა. ეს ტრაგიკული სახე თითქოს ახალ მასალაში გადაიზრდება. მაგრამ — არა, ეს იგივე პირველი თემაა, ოღონდ რაოდენ სახეშეცვლილი, მძაფრი, ამაღელვებელი! (სწორედ ასე ამთავრებს ზაქარია ფალიაშვილი თავის ამ ოპერას) მერე კი, კვლავ თავდაპირველი თემა, გაშლილი, იმპროვიზებული.

ხომ ძალიან ლაკონიურია ეს შესავალი. მაგრამ მასში, როგორც კარგ კონსპექტში, ნაწარმოების მთელი განწყობილებაა გადმოცემული, ე. ი. ის, რაც შემდგომ გამოისახება სამ მოქმედებაში — დაისიდან (მზის ჩასვლიდან) გარიჟრაჟამდე...

ალბათ, არ არის საჭირო ამ ესოდენ პოპულარული ნაწარმოების შინაარსის გარჩევა. ჩვენ ამ წერილში სულ სხვა ამოცანა გვაქვს — „დაისის“ მაგალითზე გავიცნოთ ის ძირითადი ფორმები, რომლებისგანაც შედგება ყველა საოპერო ნაწარმოები.

„დაისი“ ეკუთვნის ისეთი ოპერების რიცხვს, რომლებშიც მოქმედება გაშლილია ე. წ. ნომრების თანმიმდევრობით (არსებობს კიდევ ე. წ. „გამჭოლი განვითარების“ ოპერები). „ნომრები“ — ეს არის ცალკეული საოპერო ფორმები — **არია, რეჩიტატივი, დუეტი** და ა. შ., ან გაშლილი სცენები — **საგუნდო, საცეკვაო ანსამბლები.**

იტალიური სიტყვა „არია“ სიმღერას ნიშნავს. ოპერაში არიას უწოდებენ დასრულებულ ნომერს, რომელსაც მღერის ერთი მომღერალი არიას შეიძლება შევადაროთ მონოლოგი დრამატული სპექტაკლიდან, რომელშიც გმირი მოგვითხრობს თავის ამბავს, გამოთქვამს თავის განცდას. არიას უწინარეს ყოვლისა ახასიათებს გაშლილი მღერადობა. „დაისში“ არიის ბრწყინვალე ნიმუშებია. უკვე პირველი მოქმედების დასაწყისშივე მაროსა და ნანოს დუეტს მოჰყვება არია. ეს არის ცნობილი „მალხაზის გამოსვლა“. „ჩემი ბედის ვარსკვლავი ხარ“, — ისმის ერთ სუნთქვაზე აგებული, ურმულივით გაშლილი, თავდავიწყებამდე შეყვარებული მალხაზის არია. საინტერესოა, რომ ამ არიას აქვს ფრიად თვითმყოფადი ფორმა — თანხლების გარეშე მელოდია თავისი იმპროვიზაციული აგებულებით მართლაც ხალხურ ურმულს უახლოვდება. მალხაზის მეორე არია — „თავო ჩემო“ ფორმით ტიპიურ რომანსს წარმოადგენს (საინტერესოა, რომ ეს შესანიშნავი არია ზაქარია ფალიაშვილმა მალხაზის როლის პირველი შემსრულებლის — ვანო სარაჯიშვილის თხოვნით შეიტანა უკვე თითქმის დამთავრებულ ოპერაში. მას საფუძვლად დაედო პოპულარული ქალაქური სიმღერა). ეს არია-რომანსი მალხაზის შინაგანი სამყაროს მორიგი მუსიკალური დახასიათებაა — „ურმულის“ ნათელ, ლირიულ განწყობილებას აქ მწუხარე წინათგრძნობის ელფერი სცვლის, ხოლო მის სოლო ნომერში — გამოსათხოვარ არიოზოში — მე-3 მოქმედებიდან ისმის ჩვენთვის უკვე შესავლის მუსიკიდან ცნობილი მძაფრი, ტრაგიკული მელოდია. აქ ჩვენ კიდევ ერთ ახალ ტერმინს ვხვდებით — **„არიოზოს“,** რაც **„პატარა არიას“** ნიშნავს. (ზოგჯერ ასეთივე მნიშვნელობით **„არიეტას“** ან **„კავატინას“** ხმარობენ).

არიის ფორმის ნამდვილი მაგალითია მაროს არია მე-2 მოქმედებიდან. მას წინ უძღვის რეჩიტატივი. რეჩიტატივი იტალიური ტერმინია, რომელიც წარმოიშვა ძველი ლათინურიდან და ნიშნავს „ხმამაღლა კითხვას“. ეს არის თითქოს „მელოდიზირებული ლაპარაკი“. მაროს სცენაში კი, რომელიც არაჩვეულებრივი პოეტურობით ხასიათდება, რეჩიტატივი თანდათანობით იმდენად ივსება გრძნობით, რომ მისი თავშეკავებული ინტონაციები უკვე არ კმარა ამ გრძნობის გადმოსაცემად, მწიფდება გაშლილი, მღერადი მელოდია და რეჩიტატივი ბუნებრივად გადაიზრდება არიაში.

აღსანიშნავია, რომ ეს არია არსებითად ამ ფორმის ერთადერთ ტრადიციულ ნიმუშს წარმოადგენს „დაისში“.

გმირთა მრავალმხრივი დახასიათებისათვის კომპოზიტორი მიმართავს ორიგინალურად გააზრებულ ფორმებს —სიმღერასა და რომანსს



ოპერა „დაისის“ ფინალი.

ზოგჯერ ეპიზოდური ჩანახატითაც კმაყოფილდება. ასეთია მალხაზის პარტია. მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა ამ მხრივ კიაზოს პარტია. პირქუში, დაძაბული ინტონაციები ცანგალასთან სცენაში, დრამატული რეჩიტატივი, რომლის თავშეკავებული მელოდიური მონახაზი, თითქოს აღელვებული ლაპარაკია. უდიდესი შინაგანი განცდა სჭარბობს არია „სულო ბოროტო"-ში, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობს მკაცრი ინტონაციებიდან. ამ დაძაბულ მონოლოგს შეცვლის სრულიად საწინააღმდეგო განწყობილების სიმღერა — „დამისხი, დამალევინე", — კიაზო თითქოს გაექცევა დარდს, წუხილს. ამავე მოქმედებაში ჩვენ კვლავ ვხვდებით მას, ამჯერად მისი სოლო თითქოს ეპიზოდური სცენაა, მაგრამ ეს ეპიზოდი აგებულია რეჩიტატივზე. ვეცნობით გმირის კიდევ ახალ თვისებას — ჰეროიკულ მედიდურობით აღსავსე პატრიოტულ საწყისს.

„დაისის" პირველი მოქმედების პირველივე სცენა წარმოადგენს ორი თანაშეზრდილის — მაროსა და ნანოს დუეტს. ეს არის დუეტი-დიალოგი. აქ, ერთი შეხედვით, ერთი მთლიანი მუსიკალური მასალაა გამოყენებული, მაგრამ ნათლად იგრძნობა ორი სხვადასხვა ხასიათი — უდარდელი, კეკლუცი ნანო და დაღონებული, სევდიანი მარო. ეს ორი სახე ერთმანეთს უპირისპირდება — ცოცხალი, მკვირცხლი ინტონაციებით აღსავსე ნანოს პარტიითა და მღერადი, ღრმა ლირიული საწყისის მქონე მაროს მელოდიით. სულ სხვა სახის დუეტს წარმოადგენს ამავე მოქმედების ერთ-ერთი შემდგომი ნომერი — მაროსა და მალხაზის სცენა. აქ მათ ერთი გრძნობა ამოძრავებთ და, დაპირისპირების ნაცვლად, ორი მუსიკალური დახასიათება შერწყმულია ერთმანეთთან.

საანსამბლო სცენის ბრწყინვალე მაგალითია მე-3 მოქმედებაში მაროს, მალხაზისა და კიაზოს სცენა და ტერცეტი. მისი მნიშვნელობა როდი განისაზღვრება მხოლოდ მუსიკალური ხასიათების დაპირისპირებით. მკვეთრად განსხვავებული კონფლიქტური დამოკიდებულება. გრძნობების გადახლართვა, პირადი განცდებისა და პატრიოტული მოვალეობის დაპირისპირება, სიყვარულისა და შურისძიების გრძნობა... ეს ყველაფერი განსაცვიფრებელი დრამატული ოსტატობითაა გადმოცემული მუსიკაში. რა ხერხებს არ მიმართავს აქ კომპოზიტორი! აქ არის მღელვარე რეჩიტატივი, მოკლე დიალოგური გადაძახილები და, როგორც კონტრასტი, სცენის მიღმა ხმოვანი ხალხური ლაშქრული სიმღერა. ბრწყინვალე პოლიფონიურ ფორმაშია გადმოცემული, სახელდობრ, ტერცეტი. ეს სცენა, თავისი მხატვრული ღირსებების გამო, საოპერო ანსამბლის კლასიკური ნიმუშია.

საოპერო ჟანრის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა საგუნდო ნომრები. „დაისში" მოქმედება ვითარდება სახალხო დღესასწაულის ფონზე. აქ არის მლოცველთა გუნდი — სვანეთში ჩაწერილი ხალხური — სიმღერა „ვოი და ვო—", შესანიშნავი გურული „ალი ფაშა", ფბილი იუმორით გამსჭვალული ტიტოსა და ცანგალას შაირები, — თითქოს ნატურიდან გადმოხატული ხალხური სცენა. აქვეა განსაცვიფრებლად შ[illegible]მბეჭდავი მეორე [illegible]ქმედების მედიდური ფინალი — გაშლილი საგუნდო სცენა. ვოკალური კვინტეტი; ორკესტრი გაერთიანებულია ერთი სუნთქვით, ერთი მისწრაფებით, პატრიოტული აღმაფრენით...

გარკვეული ფუნქცია აკისრია ოპერის მუსიკაში საბალეტო სცენებს. ხშირად ოპერებში ბალეტი ერთგვარ ჩართულ ნომრებს წარმოადგენს. „დაისში" საცეკვაო სცენები ორგანულადაა შერწყმული ოპერის შინაარსთან. ზაქარია ფალიაშვილმა ოსტატურად გამოიყენა ხალხური ქორეოგრაფიის ისეთი საინტერესო ნიმუშების რიტმი (ინტონაციური საწყისი), როგორიცაა ფერხული, ცეკვა „ქართული", ხევსურთა ცეკვა-ფარიკაობა, „მთიულური".

საოპერო ნაწარმოებში მეტად მნიშვნელოვანია ორკესტრის როლი. ზოგჯერ კომპოზიტორები მას მხოლოდ თანხლების ფუნქციას აკისრებდნენ. ეს, განსაკუთრებით, გასული საუკუნის იტალიურ ოპერებში ვლინდებოდა (ბელინისა და დონიცეტის ნაწარმოებებში).

ფალიაშვილის ოპერებში ორკესტრს უბრალო აკომპანიმენტის მნიშვნელობა კი არ აკისრია, არამედ იგი მოქმედების განვითარების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. ეს როლი არ განისაზღვრება მხოლოდ დრამატურგიულად მნიშვნელოვანი შესავალით ან მე-3 მოქმედების ინტერმეცოთი (იტალიურად „ინტერმეცო" — „შესვენება", ოპერაში — „მუსიკალური შესვენება"). ორკესტრი ხან ჟანრულ ელფერს ღებულობს (შაირობის სცენაში ნამდვილი სტვირის ტემბრით), ხან ამზადებს გაშლილი სცენის ინტონაციურ მასალას (მე-2 მოქმედების გუნდური სიმღერა „მტერი ბარში გადმოსულა"), ხან წინასწარ იუწყება გმირთა განწყობილებას, ხან კი ბრწყინვალე საცეკვაო ნომრებს გადმოგვცემს...

„დაისის" მიხედვით ჩვენ განვიხილეთ საოპერო ჟანრის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი კომპონენტი, ფორმა. კვლავაც უნდა გვახსოვდეს, რომ ოპერა, უწინარეს ყოვლისა, მუსიკალური მოქმედებაა, ამიტომ ამ მოქმედების გადმოცემაში კომპოზიტორები ყოველთვის ეძებენ ამა თუ იმ შინაარსისათვის შესატყვის პრინციპებს, გადაახალისებენ ხოლმე ტრადიციულ ფორმებს. არ არსებობს, და არც იარსებებს რაღაც უნივერსალური კანონზომიერება ამ ჟანრისათვის. მაგრამ ერთი კია: ოპერის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ყოველთვის იყო და იქნება მისი სინთეზური არსი — სიმღერის, სიტყვის, ორკესტრის, მხატვრობისა და ბალეტის შერწყმა. ალბათ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ოპერას თითქმის ხუთი საუკუნის ისტორია აქვს, ეს ჟანრი არ ძველდება, არ კარგავს ზემოქმედების ძალას.





ნოდარ
შამანაძე

# ყველაფერზე ძვირფასი

მხატვარი
დიმიტრი
ზარაფიშვილი.

ზღაპარი

10.379

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭუნა, არც დედა ჰყავდა, არც მამა, ამიტომ ობოლა შეარქვეს. ისე ღარიბი იყო, მისას არც არას ცეცხლი დაწვავდა, არც არას წყალი წაიღებდა. ორიოდე ნაბდის გაშლა ყანა ჰქონდა, ეს იყო და ეს... მაგრამ თქვენ გგონიათ რამე აკლდა? დაილოცოს ხალხის კეთილი გული! შვილივით თავს დასტრიალებდა ყველა. რა გინდა სული და გული რომ მასთან არ მიჰქონდათ: საჭმელი ვარო, ტანსაცმელი ვარო, სათამაშოები ვარო... გლეხკაცები ერთმანეთს ეცილებოდნენ: არა მე უნდა დავუმუშაო ყანა, არა მეო. მართალია, საზრდოს თავზე საყრელს ვაძლევთ, მაგრამ საკუთარ ყანაში მოწეულს მაინც სხვა გემო აქვსო...

ნაწვიმარი ჭეჭილივით ფოფინებდა ობოლა, სიხარულით არ იცოდა რა ექნა. მაგრამ უზრუნველი ბავშვობა განა დიდხანს შერჩა? ერთ დილას, როცა ჩვეულებრივ ადრიანად წამოდგა, ელდა ეცა: მთელი ქვეყანა ირეოდა, ძაღლი პატრონს ველარ სცნობდა... შვილი მამას პურს არ უტეხდა, ძმა ძმას გამარჯობას არ ეუბნებოდა. ეჩოსავით ყველა თავისკენ მიითლიდა. აქამდე რომ ვერავინ გაიგონებდა, ახლა ყველას პირზე ეკერა: „ქურდობა“ „მკვლელობა“, „ძარცვაგლეჯა“... ჰოდა, ამ უბედურებაში ობოლა ვიღას გაახსენდებოდა?! ერთი იმედიღა შერჩენოდა საბრალოს: მისი ყანა უკვე შემოსულიყო და, თუ დროზე აიღებდა ჭირნახულს, ხმელა პური მაინც ექნებოდა. მაგრამ თავისი სუსტი, პაწაწინა ხელებით ცელი როგორ მოექნია?! იჯდა მშიერ-მწყურვალი და ცრემლად დნებოდა. ბოლოს, მიხვდა ტირილით არაფერი გამოვაო და თავის თავს შემოუძახა: ჯერ თუ კაცი არა ვარ, კაცად ხომ უნდა ვიქცეო! ცრემლის ღვრით სხვა ვინ დავაჟკაცებულა, მე რომ დავვაჟკაცდეო?! მოიწმინდა ცრემლები, წამოდგა და სოფლის შარაზე გაცუნცულდა. ზემოდან მომავალი გლეხკაცი დაინახა. „ეს ხომ ჩვენი სიკოა. ალბათ ჩემთან მოდის, რა ხანია არ ყოფილა“, — გაიფიქრა ობოლამ სიხარულით. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, სიკოს მისი დარდი არა ჰქონდა, არც შეხედა, ისე ჩაუარა გვერდით. ობოლა გამოედევნა, დაეწია და შეეხვეწა: ძია სიკო, ყანის მკაში მომეხმარეო.

— როგორ მოგეხმარო, ჩემი ყანაც ვერ მომიმკია. ცელი ნიკომ მომპარა, — გაბრაზებით უთხრა სიკომ და გზა განაგრძო.

ობოლამ იარა, იარა და მიადგა ნიკოს. სთხოვა: სიკოს რომ ცელი მოჰპარე, მომეცი, პატრონს მივუტან და ის ყანას მომიმკისო.

—ცელს რომ ამბობ, ისიც იკითხე, მე ხარი ვინ წამართვა... ვინ წამართვა და, თიკო ოჩაფეხამ. წადი, მომიყვანე ხარი და მოგცემ ცელს... არა და გაგიოხრდეს ყანა, მე რა მენაღვლება! — უთხრა ნიკომ და ზურგი შეაქცია.

ობოლამ იარა, იარა და მივიდა თიკოსთან. შეევედრა: ნიკოს რომ ხარი წაართვი, მე მომეცი; ხარს მივუყვან ნიკოს, ის მომცემს ცელს, ცელს წავუღებ სიკოს და ის ყანას მომიმკისო.

— შენსას რომ ამბობ, ბალღო, ჩემიც გაიგონე! ცხენი მყავდა. ავ თვალს არ ენახვებოდა... დამეცნენ ღამით და მომტაცეს. ვინ მომტაცა? ზემო უბანში რომ ყოყლოჩინა ბიკო ცხოვრობს, ხომ გაგიგონია? იმან მომტაცა. წადი, მომიყვანე ცხენი და მოგცემ ხარს. თუ არა და მოკვდი შიმშილით, შენს მეტი არავინ მომკვდარა?! — თქვა თიკომ და გულგრილად გაიცინა.

ობოლამ იარა, იარა და მიცუნცულდა ბიკოსთან.

— ვინ გდიხარ, ვისი ტიკი-ტომარა ხარ! — შეჰყვირა ბიკომ და გამოუდგა, მაგრამ რა გამოუდგა, მუშტის ტოლაც აღარ ჩანდა იმხელა კაცი. იცოცხლე, ობოლამაც მარჯვედ მოუსვა... მაგრამ მშიერს მუხლები მალე მოეკვეთა და წაიქცა. მივარდა ბიკო და ცემა დაუწყო. ისე ჩემი მტერი წამოდგეს, ეს რომ წამოდგებაო, — თქვა ბოლოს და გულდამშვიდებული წავიდა.

საბრალო ბიჭუნას ტირილის თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ვიც აღარ ჰქონდა. ეგდო გზის პირას ყველასაგან მიტოვებული. ბოლოს დაღლილობამ სძლია და ღრმად ჩაეძინა. გათენებისას გამოეღვიძა. გვერდით ნადირთა მეფე მისჯდომოდა. ლომი რომ დაინახა, ობოლა შიშით ისე მოიკუნტა, სათითეში ჩაეტეოდა.

— ნუ გეშინია, პატარავ! მე შენი მეგობარი ვარ. თუ რამე შემიძლია— ყველაფერში დაგეხმარები, — უთხრა ლომმა და ცრემლი თათით ფრთხილად მოსწმინდა.

ასეთმა გულთბილობამ ობოლა გამოაცოცხლა, ატიკტიკდა, მაგრამ რა ატიკტიკდა: თავისი ცხოვრება სულ თვალწინ გადაუშალა ლომს. სიტყვა რომ ყანის მომკაზე ჩამოაგდო, ტირილი ვეღარ შეიკავა.

— მაგან დაგაღონა?! ისე მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ყანა მოგიმკო, — შესძახა ლომმა.

... სულ მალე ობოლას ყანაში ისეთი მუშაობა გაჩაღდა, მთელი ქვეყანა მის საყურებლად შეიყარა.

— ამას რას მოვესწარით: საბრალო ობოლასას მხეცნი ყანას მკიან! — წამოიყვირა სიკომ.

— აბა, კაცო! ლომნი გრეხენ და ძნებსაც კრავენ! — წამოყელყელავდა ხალხის შუაგულიდან ბიკო.

— შეხეთ, შეხეთ, დათვები უღელში შესაბმელად ემზადებიან... მაგათ კევრი რაში სჭირდებათ ერთი გადაგორ-გადმოგორდნენ და პურიც გაილეწება—გაიცინა თიკომ.

— მელებს ცოცხი ვერ უშოვიათ და კალოს კუდითა ჰგვიან: როგორ კოხტად უსვამენ ჰა?! — ჩაიქირქილა ნიკომ.

— თქვენ იცინით და სატირლად კი გვაქვს საქმე: დიდი უბედურებაა ჩვენს თავს და ვერ ვხვდებით. მხეცები დაჭკვიანდნენ, ჩვენი კი გავმხეცდით, — ამოიკვნესა თეთრწვერა მოხუცმა, ახალგაზრდებს რომ ღობეზე მიეჭყლიტათ და სულს ძლივს ითქვამდა, — რაც ყველაფერზე ძვირფასი გვქონდა, დავკარგეთ!

— რა დავკარგეთ? — იკითხა ერთმა.

— თქვი, რა დავკარგეთ? — წამოიძახა მეორემ.

— მე ცელი დავკარგე! — შეჰყვირა სიკომ.

— მე ცხენი!

— მე ხარი!

— მე ძროხა! — ისმოდა აქეთიქიდან.

— მთავარი გავიწყდებათ, ხალხო! — იყვირა თეთრწვერა მოხუცმა, — სინდისი გვაქვს დაკარგული, სინდისი!

— მართლაცდა, სად არის ჩვენი სინდისი?! — ახლაღა გაახსენდა ხალხს და ყველამ ერთხმად იზრიალა.

— სიკოს ბრალია, მან დაკარგა! — დაიძახა ნიკომ.

— მე კი არა, ნიკომ დაკარგა! — იყვირა სიკომ.

— თიკომ დაკარგა, თიკომ! — წამოიჭიმა ბიკო.

— ბიკოა, რაც არის, სულ მაგის ბრალია! — დასჭყივლა თიკომ.

ასე უსინდისოდ აბრალებდნენ ერთმანეთს. ხალხი კი ბობოქრობდა. დამნაშავეს ეძებდა. მაგრამ ვინ იტყოდა, მე დავკარგეო. სიმართლის თქმას სინდისი უნდა, მათ კი სინდისი არ გააჩნდათ.

— წავიდეთ, ვეძებოთ ჩვენი სინდისი, თუ მოვნახეთ, ხომ კარგი, თუ არა და, მოვკვდეთ მის ძებნაში! — ურჩია ხალხს ბოლოს ერთმა.

— წავიდეთ, წავიდეთ! — იზრიალეს ერთხმად.

თქვეს და შეასრულეს. შეიარაღებულნი გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს, ცხრა ზღვა გადაიარეს, ცხრა მთა გადაიარეს და მეათეს რომ მიადგნენ, შემოხვდათ ტურა.

— რა გაგჭირვებიათ, დედაბუდიანა რომ აყრილხართ?! ჰკითხა მან.

— გაგვჭირვებია და კიდევ მეტი, — მიუგეს დაღვრემილი სახით. — მთელ ხალხს ერთი საერთო სინდისი გვქონდა. საიმედო ადგილას ვინახავდით და მორიგეობით ვდარაჯობდით. რომელიღაც ჩვენთაგანის დაუდევრობით დაიკარგა და უმისოდ დავრჩით. ახლა ვეძებთ... ან ვნახავთ, ან ძებნაში დავიხოცებით...

ტურა ერთხანს ჩაფიქრდა, მერე გაიღიმა და ხმამაღლა დაიწყო:

— უსინდისობას ჩავდივარ, მაგრამ მებრალებით და უნდა გითხრათ... ამას წინათ მელამ იპოვა სინდისი და

ლომს აჩვენა. ჩვენს მეფეს გაუხარდა და ნაპოვნი სინდისი ნადირთა მთელ საკუთრებად გამოაცხადა. მცველები მიუჩინა და საიმედოდ ინახავს...

ეს რომ მოისმინეს, იგრგვინეს გახარებულებმა და თავიანთი სინდისის ხელში ჩასაგდებად გაეშურნენ. მათი ბრძოლის აღწერას მელნად ზღვა უნდა და ქაღალდად ზეცა. ბოლოს, ნადირთა ხროვა იძულებული გახდა დანებებულიყო. ხალხმა თავისი სინდისი დაიბრუნა. მხეცები კი ისევ მხეცებად იქცნენ. გაბრაზებულებმა ტურაზე იყარეს ჯავრი. იმდენი ურყტეს, მისი კივილი ცასა და დედამიწას აყრუებდა. იმ დღიდან, სადაც კი წააწყდებიან ტურას, უმოწყალოდ სცემენ. ამიტომაა, რომ ტყეებიდან ახლაც ხშირად ისმის გამწარებული ტურის ჩხავილი...

ხალხმა კი გამარჯვება იზეიმა. გაიმართა სადღესასწაულო სანახაობანი. მაშინ ფერადი ბუშტები არ იყო და ბავშვებს მხოლოდ ყვავილები ეჭირათ ხელში. უცებ, ერთ მხარეს ჩოჩქოლი შეიქნა... თურმე სიკო, ნიკო, თიკო და ბიკო დავობდნენ: არა მე უნდა ავიყვანო ობოლა ხელში, არა მეო. საზეიმოდ მორთული ობოლა კი იცინოდა ,იცინოდა, კვდებოდა სიცილითა.

თეთრწვერა მოხუცს, უსინდისობის დროს კინაღამ ღობეზე რომ მიაჭყლიტეს, ხალხი გარს შემოხვეოდა. ყველა სიყვარულით და მოკრძალებით შეჰყურებდა ჭაღაროსანს. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოავრდა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. მოხუცმა დაიწყო:

— ხალხნო და ჯამაათნო! ერთი საერთო სინდისი გვქონდა, დავკარგეთ და ყველა უსინდისო გავხდით. ასე რომ აღარ დაგვემართოს, დღეიდან დიდსაცა და პატარასაც თავისი სინდისი ჰქონდეს. ყველამ თვითონ მოუაროს თავის საკუთარ სინდისს.

— სწორია! კარგია! — გაისმოდა მოწოდების ხმები.

მას შემდეგ ყოველ ადამიანს თავისი სინდისი აქვს. ვინც არ მოუფრთხილდება და დაკარგავს, ვაი მისი ბრალი: ნადირს დაემსგავსება და უსინდისოს დაუძახებს ხალხი, ამაზე დიდი სასჯელი კი რაღა უნდა იყოს?!

# ᲡᲐᲭᲘᲠᲑᲝᲠᲝᲢᲝ ᲗᲔᲛᲐ



მხატვარი ე. ამბოკაძე.

## ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

არის ხოლმე: საკუთარი სიხარული არ გწვევია, მაგრამ სიამოვნებას კი განიცდი. თურმე, იმითა ხარ კმაყოფილი, რომ ადამიანისათვის სიკეთე გაგიკეთებია. სახელდობრ — მიცემული სიტყვა პირნათლად შეგისრულებია, სხვისი საზრუნავისადმი გულისხმიერება გამოგიჩენია და საკუთარი სიტყვისათვის ღირსება დაგიდვია. ყველა სიტყვა, განსაკუთრებით თუ იგი დაპირებაა, საფრთხილობელია. დაპირება კანონს უნდა უდრიდეს. კაცმა კაცს გული უნდა გაუკეთოს, კეთილი, თბილი თანაგრძნობით სადარდებელი შეუმსუბუქოს, ოღონდ ზერელე დაპირების მიცემა კი არამც და არამც არ უნდა იკადროს. ეს კაი კაცობის მხოლოდ მცდელობა იქნება და არა ნამდვილად კაი კაცობა. ზერელე დაპირება ტკივილის დროებით გამაყუჩებელი საშუალებაა და არა უებარი მალამო.

ყალბ დაპირებას სხვადასხვა ახსნა აქვს. ზოგი იმიტომ აღუთქვამს ვინმეს ამას თუ იმას, რომ იგი თავიდან მოიცილოს. ამ შემთხვევაში აღთქმის მიმცემის უსულგულო თვალსაზრისია — სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი. ზოგის ტყუილი დაპირება კი თითქოს და კეთილი ზრახვიდან მომდინარეობს. კაცს კაცის მომადლიერება სწადია და იმიტომ ჰპირდება, რაც მის ძალას აღემატება. ტყუილ დაიმედებას კიდევ ისეთები მიმართავენ, რომელნიც გაწბილებულ მთხოვნელთაგან გალანძღვას ერიდებიან, თუმცაღა კარგად გრძნობენ, რომ ეს უკანასკნელნი დახმარებას არ იმსახურებენ. აქ თავს იჩენს სულმოკლეობა და გასათვალისწინებელია, რომ გალანძღვას ყველა თავისი საქციელით კი არ იმკის, ისიცაა სანახავი, თვით გამლანძღავი თუა კაცი. ხოლო, ამასთან დაკავშირებით, ისიც უნდა შევიგნოთ, რომ კარგი სიტყვის ქვეშ მარტო ლამაზი ან მაამებელი გამონათქმი კი არ იგულისხმება, არამედ ისიც, ვისაც რა ეკუთვნის იმის საკადრის პასუხს თუ გასცემ. ვისაც პირში პირდაპირი თქმის ძალა შესწევს, ის საერთოდაც სულით ძლიერია. ტყუილი დაპირება კი ყველა შემთხვევაში დანაშაულია.

მაგრამ სიტყვის მიცემაც ყოველთვის საჭირბოროტო ვითარებას არ შეეხება. იქნებ ის ერთისგან მეორე ადამიანის, ან ადამიანთა მთელი ჯგუფის მიმართ სრულიად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმტყუნე დილამდინაო, სიმართლე შვილიშვილამდინაო.
ისეთი სიტყვა თქვი, რომ მერე არ გაგაწითლოსო.
პირის გატეხას, თავის გატეხა ჯობიაო.

უბრალო პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ოღონდ ნავალდებულევისადმი ოდნავი დაუდევრობაც კი მაინც ყოვლად გაუმართლებელია. თუ ამხანაგს წიგნს შეპირდი და ვერ მიუტან, ანდა ავადმყოფს შეუთვლი, გინახულებო და არ ნახავ, ამით ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ ჩრდილი კი მოგადგება. ეს უპირველესად ამხანაგის გულდასაწყვეტი დალალატება და ამასთანავე საკუთარი თავმოყვარეობის მოუფრთხილებლობაცაა. თავმოყვარეობა კი ხომ მარტო ის არ არის თუ ცხვირზე ბუზს არ დაისვამ. სხვის თვალში ის უფრო დაგცემს თუ საკუთარ სიტყვას თვითონვე გასტეხ და ამ შენი ბედოვლათობით, დაუდევრობით ამხანაგების ნდობას დაკარგავ.

ქარაფშუტულად ნათქვამი სიტყვა ნავლია, რომელსაც ქარი გაჰფანტავს და ხელშესახები არაფერი დარჩება, გარდა ასე ანგარიშმიუცემლად ენამოტარტალის შერცხვენილი სახელისა. სიტყვის ყადრი არ იცისო, ასეთზე იტყვიან. არა და, ადამიანის საუკეთესო თვისებათა ჩამოთვლაში, როგორც წესი, კანონიერად გამოპირველებულია შეფასება — თავისი სიტყვის პატრონიაო. ხოლო სიტყვის პატრონი თავის გარემოში თავისებურად რაინდიცაა. რაინდი, არა გარდასულ დროთა აბჯროსნობის, არამედ თანამედროვე ვაჟკაცური სისპეტაკის თვალსაზრისით. თუმცალა საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ახლაც ამგვარი რაინდობა იმასვე შეეძლება, ვინც თავისი სიტყვისა და, მაშასადამე, რწმენის ფასი იცის.

კეთილი რწმენის, ისევე როგორც სხვა დადებითი თვისებების გამომუშავება ადამიანში ადრეული ასაკიდან — ბავშვობიდანვე იწყება.

ერთი პატარა თავმომწონე ბიჭისათვის მოზრდილ ამხანაგს მწარედ სილა გაერტყა. უფროსებმა მას ფუნფულა ლოყაზე ნათითრები უნახეს თუ არა, მთელი ნამდვილი გამოძიება შექმნეს, მაგრამ ბიჭს მისი ხელმხლებლის სახელი ვერ ათქმევინეს. ბოლოს დააფიცეს და ბიჭი, რომელსაც სილის გარტყმაზე ცრემლიც არ გადმოვარდნია, ახლა უცებ მწარედ აქვითინდა. თამოყვარეობასა და საფიცარს შუა იყო და ფიცის მრწამსმა გაიმარჯვა. სთქვა, რასაც სთხოვდნენ, მაგრამ გული კი დაეკოდა, ბიჭობა შეელახა. მაინც იპოვა საკუთარ თავში ძალა და უფროს ამხანაგს, რომელმაც მას აწყენინა, ბოდიში მოუხადა, არ მეპატიება რომ დაგასახელე, მაგრამ ასე და ასე მაიძულესო.

მოსალოდნელი კია სხვაგვარადაც მომხდარიყო. ვთქვათ ბიჭი გაკერპებულიყო და ამხანაგებს შორის რომ ერთგვარად დამსმენლის სახელი არ დავარდნოდა, საფიცარის წინაშე ეცრუა, მაშინ, გამოვიდოდა, რომ უფროსების დაუკვირვებლობით იგი საკუთარ რწმენას სამერეოდაც შეირყევდა და საერთოდ თავის სიტყვასაც თვითონვე გააუფასურებდა.

საერთოდ, წარამარა, ყოველ უბრალოზე ფიცი არ ვარგა და ბავშვი ამას არც უნდა შეეჩვიოს. მას უფროსთა მეცადინეობით მიცემული სიტყვისადმი ღრმა რწმენა და პატივისცემა უნდა ჩაენერგოს და ყველა შემთხვევაში წმინდად იცავდეს.

სულ პატარა ბიჭს ოჯახის სტუმრებმა ლამაზსურათებიანი წიგნები აჩუქეს და მან კი, რა თქმა უნდა აღტაცებულმა, ისინი იმწამსვე თანატოლ მეზობელ გოგონას გაურბენინა. თურმე, შეპირებული ყოფილიყო, როდესაც მე ასეთი რამ გამიჩნდება, შენც გიწილადებო.



ამდენად, დასაჩუქრებული ბიჭის სიხარული ის უფრო იყო, რომ მას თავისი დანაპირების შესრულების საშუალება მიეცა.

ხშირია ნორჩთაგან თავიანთი კეთილშობილების სხვამხრივაც გამოვლენა. თუნდაც ის, რომ ერთმა მოწაფემ გაკვეთილი არ იცის და გაკვეთილის თხრობაზე თავს იკავებს მეორეც, რითაც თავისებურ ცოტნე დადიანისებურ თავდადებას ამჟღავნებს მეგობრის მიმართ. ასეთ გამოვლინებას, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი მხარეც აქვს და დადებითიც და მას მდგომარეობის მიხედვით მიდგომა და შეფასება სჭირდება.

ერთგან, ეზოში, ბიჭებს, ცხადია თავად დამწყებ ფეხბურთელებს, ცხარე დავა ჰქონდათ დიდი ფეხბურთის ირგვლივ. მოგეხსენებათ კი, რომ დავა ფეხბურთის თაობაზე თითქმის ამაოა. რაც არ უნდა იბობოქრო და ყელი ჩაიხლიჩო, ყველა მაინც თავისაზე რჩება. ზუსტად ერთნაირ შეფასებას ვერ აძლევს რომელიმე საქვეყნოდ აღიარებულ ფეხბურთელსაც კი მისი თუნდაც ორი ყველაზე მხურვალე ქომაგი და თაყვანისმცემელი. ასევე ხდება ყოველი ნანახი თამაშის განხილვისასაც. ბიჭებს შორისაც ამიტომ იყო ერთი წეწვა-გლეჯა.

— კარგით და, — ღიმილით გამოელაპარაკა ბიჭებს ღია ფანჯარაზე გადმოყუდებული კაცი, მათი გულის მესაიდუმლე და უფროსი მეგობარი, — დიდხა და სახელოვან ფეხბურთელებზე ვერ შეთანხმდით, მაგრამ თავად თქვენს შორის მაინც რომელია უკეთესი?

ბიჭები ერთი კი ჩაყუჩდნენ, მაგრამ უმალვე ისევ აყაყანდნენ, თვითეულმა გულმოდგინედ რომელიმე სხვა დაასახელა და თითი მასზე მიუშვირა. ყველამ ერთად კი ყველაზე საუკეთესოდ გამოაცხადა ერთი თანატოლი, რომელიც იმ დროს მათ შორის არ იყო. მერე ბიჭებმა კვლავ ალალად და გულწრფელად ერთმანეთს სიტყვა სხვადასხვამხრივადაც შეაწიეს. ზოგი საუკეთესო მხატვრად თუ მძერწავად, ზოგიც აღიარებულ მოცურავედ, ან საერთოდ, მრავალმხრივ სპორტსმენად დაასახელეს. მაინც ყველაფერში კი ისევ ის, იქ არდამსწრე მეგობარი გამოაჩინეს.

დავა აღარავის ახსოვდა. ბიჭები კმაყოფილნი იყვნენ საუბრის ასე შესხვაფერებით და, ცოტა არ იყოს, დარცხვენილნიც ერთიმეორის წინაშე, რომ დიდ ფეხბურთზე მსჯელობისას გაწიწმატებულებმა ზოგ შემთხვევაში თავი დაკარგეს და ამხანაგს არასაკადრისი აკადრეს.

უფრო მეტად კი კმაყოფილი იყო მათი უფროსი მეგობარი, რომელმაც ბიჭებს თავისი შეკითხვა კეთილგონივრული გამიზვნით დაუყენა და საწადელსაც მიაღწია, ისინი კამათის კიდევ გამწვავებას აარიდა და მანამდელ ამხანაგურ პირზე მოაყენა.

ყველა ენაზე მოიპოვება არაერთი ანდაზა თუ მოხდენილი გამონათქვამი, სხარტულა, თქმულება სიტყვის ფასზე, წონაზე, იმაზე, რომ მართალი, პატიოსანი სიტყვა ძვირადღირებული და მარად სათუთად საფრთხილობელი განძია.

ბევრი ასეთი მარგალიტია ჩვენს ქართულშიც.

მაგრამ ხალხური სიბრძნის ყველა ეს, ცხოვრებით შემოწმებული და აღიარებული აზრიან-ხატოვანი ნიმუში, თავისთავად როდია კეთილი ძალა თუ მათ მათით ნაგულისხმევი სიკეთის აღსაზრდელად თვითონვე არ მოვირგებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქროს საწმისი

ედ. ბორკი: ...ადამიანები, რომლებიც არასოდეს არ იცქირებიან უკან თავიანთი წინაპრებისაკენ, — არასოდეს არ გაიხედავენ წინ, თავიანთი შთამომავლებისაკენ.

ჯ. ბაირონი: მომავლის საუკეთესო წინასწარმეტყველი — წარსულია.

მ. გორკი: თუ კულტურის ისტორია არ იცი, შეუძლებელია კულტურული ადამიანი იყო; თუ წარსული არ იცი, შეუძლებელია დღევანდელი დღის ჭეშმარიტი აზრი და მომავლის მიზანი გაიგო.

ვ. ი. ლენინი: მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მან, მარქსიზმმა, არა თუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორი ათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში.

ა. ლუნაჩარსკი: პროლეტარიატი წარსული კულტურის მემკვიდრეა და არა მისი გამაუქმებელი.

ა. ტოლსტოი: სამშობლოს შეგრძნობა — ეს თავისი ხალხის ისტორიასთან კავშირის შეგრძნობაა.

ლ. ტოლსტოი: განათლება, სწავლა იმას ნიშნავს, რომ გამოვიყენოთ, ავითვისოთ მთელი ის სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც ჩვენ წინაპრებმა დაგვიტოვეს.

ა. წერეთელი: მხოლოდ პირუტყვი ივიწყებს წარსულს, არ ჰფიქრობს მომავალზე და მარტო აწმყოთია კმაყოფილი. კაცი კი, როგორც გონიერი და უმაღლესი არსება, სამთავეს ერთმანეთზე აბამს და აკავშირებს. წარსულიდან გამოჰყავს აწმყო და აწმყოდან ჰსურს წარმოშობოს მომავალი.

ი. ჯავახიშვილი: ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, განწყალება იქიდან იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა... დავიწყება ისტორიისა მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა.



„გაზაფხულის სითბოთი ყლორტად ნაყარი, იმედით გავყურებ მომავალს!"..
„ჩვენი ცხოვრების სილამაზე, ჩვენი ხვალინდელი იმედი თქვენა ხართ, ბავშვებო," — ასე მიმართავს მკითხველებს ჩვენი იუბილარი პოეტი გიორგი ქაჩახიძე.

# გიორგი ქაჩახიძე

## დაბადების 60 წლისთავი

თქვენ ხართ ჩემი სიხარული,
იმედი და თვალისჩინი.
თქვენ რომ მღერით, მეც ვღიღინებ,
თქვენ რომ დარდობთ, არ ვიცინი.

„რამდენადაც მცოდნენი და შრომისმოყვარენი, სამშობლოს წინსვლისა და ღირსების ამაღლებისათვის თავდადებული იქნებით, ის დღეც უფრო ბრწყინვალე და დიადი იქნება."

ცოდნა წყაროა ანკარა,
არცოდნა — მღვრიე მორევი, —

ეს დევიზად უძღვის პოეტის ბევრ, ლამაზად გაფორმებულ წიგნს: „მალხაზებისათვის რაც მიმღერია," „ჩვენთვის გალობს ყვავილა ჩიტი," „გაზაფხული მოგვილოცეს" და სხვა, რომელშიც დიდი გულწრფელობით და მოწადინებით არის გადაშლილი ბავშვთა სულიერი სამყარო: საყვარელი სკოლა, მოამაგე აღმზრდელი, წიგნის სიყვარული.

„ბავშვებისათვის წერა ყველა პატრიოტი მწერლის მოვალეობად მიმაჩნია. რასაც დათესავ, იმას მოიმკი, უთქვამს ხალხს. ბავშვები ჩვენი მომავალია და, როგორებსაც მათ აღვზრდით, მამულიც ისეთი გვექნება, ამ შეგნებით ცოტა ლექსი არ დამიწერია მათთვის."

„მიყვარს ლექსი, რომელსაც მომადლებული აქვს საქვეყნოდ დასანახავი სითბო და სინათლე, სინაზისა და ალალმართლობა"...

„ბედნიერია ის ლექსი, რომელშიც შერწყმულია დიდი აზრი და გრძნობა, ხალხში დიდი ხნით გასაკუთრებლად რომ მიდის... ასეთი ლექსების მამობა ყოველთვის სანუკვარ ოცნებად მქონდა", — უთქვამს პოეტს.

დახვეწილი ლიტერატურული ენა, გამართული ლექსი ახასიათებს გიორგი ქაჩახიძეს..

ბილიკები მარაოდ
ცას გაავლეს მტრედებმა.
ღამე როგორ დაცხრება,
როგორ ადრე თენდება.

ან:

გათბა მიწა, მზე სიცილით
მთის მწვერვალებს მოხდის ქუდებს.

პოეტს „ჩვენში ბალახების სუნთქვა და მზეოთვარე ტალღის ენა", ბუნების დიდ სიყვარულს უნერგავს მკითხველს, უნერგავს შრომისმოყვარეობას, უნერგავს დედა-ენის მხურვალე სიყვარულს:

სამშობლოზე მიგალობა, მზე მაჩვენა,
გულს სიმართლის ნაპერწკლები დამაყარა,
შეყვარებით მოჩუხჩუხე ჩვენი ენა
დედის ტკბილი ღიმილივით შემაყვარა.

გიორგი ქაჩახიძემ პირველი ლექსი 1927 წელს დაბეჭდა. მისი „პიონერის სიმღერა" ერთ-ერთი ადრინდელია:

რიგი რიგს, რაზმი რაზმს,
პიონერო, წინ!
სისხლისფერი ბაირაღი
არ დახარო ძირს!

ასეთივე შთამაგონებელი იყო მისი ადრინდელი ლექსი:

მივყვებით და კვლავ გავყვებით
ჩვენ ლენინის გზას! —

„მე არა მარტო აღმზრდელისა და მშობლის თვალით გიყურებთ, არამედ თანატოლის თვალითაც", — ამბობს პოეტი და პოეზიაში განაგრძობს ჩვენი ქვეყნის სასიქადულო წინამორბედ მწერალთა, განსაკუთრებით შიო მღვიმელის პოეტურ ტრადიციებს.

„სასკოლო ასაკი რომ შემისრულდა, მივიღე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა". ამ წიგნით ხელში შევაღე ჩვენი სოფლის დაწყებითი სკოლის კარი".

მომავალი პოეტი სოფლად, ისლით დახურულ, ფიცრულ სახლში, ჭრაქის შუქზე სწავლობდა გაკვეთილებს და ოცნებობდა არაჩვეულებრივ საგმირო საქმეებზე.

„მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, სწავლაში წარჩინება ერთგვარ თავმოყვარეობასთან იყო დაკავშირებული. ეს გრძნობა ბიჭს აიძულებდა გაკვეთილები ბეჯითად დაეზეპირებინა და კლასგარეშე საკითხავი წიგნებიც ეკითხა. თვითგანვითარებამ გონების სითამამე შემძინა, და კალამი ლექსების წერაში ვცადე".

მას შემდეგ ორმოცი წლის განმავლობაში მღეროდა და კვლავ დაუღალავი ხალისით უმღერის „თავის ცხოვრების საიამაყოს" საქართველოს მოწინავე პოეტი, რომელიც თავმდაბლად ამბობს: „მეც ჩემებური გუთნის დედა ვარო".

გ. ქაჩახიძე წლების მანძილზე რედაქტორობდა „პიონერს" და თავისი წვლილი შეიტანა ამ ჟურნალის სრულყოფაში.

დღეს სამოცი წლის, პაპასავით თმაგათეთრებულ ბედნიერ პოეტს ვულოცავთ ამ საიუბილეო თარიღს, და ვუსურვებთ დღეგრძელობას, ვუსურვებთ სიხარულით მოემკოს თავისი ულევი სიყვარული.

„ჭაღარაც არი, ჭაბუკიც
მთელი მშვენებით ჩვენია,
მზე წინაპრების ნაჭედი
ლალებად შემორჩენია!"

**მაყვალა მრევლიშვილი.**




### ვახტანგ მეექვსე

ლ. მენაბდე

ვახტანგ VI მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის თავდადებული მებრძოლი იყო.

ვახტანგ მეექვსემ, მეცნიერმა ლირიკოსმა და მთარგმნელმა, პირველმა დაარსა საქართველოში სტამბა, გამოსცა „ვეფხისტყაოსანი" და გააჩაღა ფართო მასშტაბის საგამომცემლო მუშაობა. ამავე დროს მან ჩამოაყალიბა ქართული მართლმსაჯულების კანონთა კრებული. დაუცხრომელი კვლევა-ძიებით, ორიგინალური თუ თარგმნილი შრომებით, ვახტანგმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში.

პროფესორ ლევან მენაბდის წიგნი „ვახტანგ მეექვსე" კარგი საჩუქარია ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

ვ. ძიძიგური

### ანდაზები რებუსებში

რ. თავდიდიშვილი

თავისუფალ დროს შესანიშნავად გაატარებთ რ. თავდიდიშვილის „ანდაზები რებუსებში". ამ პატარა წიგნში შეტანილია ისეთი რებუსები, რომელთა ამოხსნისთვის საჭიროა ქიმიის, ალგებრის, გეომეტრიის, გეოგრაფიის და სხვა სასკოლო საგნების ცოდნა. ამავე დროს, ყოველი რებუსის ამოხსნის შემდეგ, რაიმე ბრძნული ხალხური გამონათქვამი ან ანდაზა მიიღება.

### პირველი ლამისთევა

მ. ხერგიანი

„პირველი ლამისთევა" მირონ ხერგიანის მოთხრობების პირველი კრებულია. ახალგაზრდა მწერალი თავის მოთხრობებში მხატვრული დამაჯერებლობით გვაცნობს თანამედროვე სვანეთის მკვიდრთა ბრძოლას ძველი ადათ-წესების წინააღმდეგ, მათ ურთიერთ მეგობრობას, სიყვარულს, ლტოლვას სიკეთისაკენ... საინტერესოდაა გადმოცემული მთიელი პიონერ-მოსწავლეების ფიქრები, სურვილები, ოცნებები... „პირველ ლამისთევას" სიამოვნებით წაიკითხავს როგორც უფროსი, ისე უმცროსი ასაკის მკითხველი.







# ძველი და ახალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი — აზიისა და ევროპის სამანი...

ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადაუბუგავთ იგი არაბებს, მონღოლებს, სელჯუკებს, სპარსელებს... „ხოლო თბილისი, სოფელი და კალაი მოოხრებულიყო“ — მწარედ მოთქვამდა მემატიანე. მაგრამ ქალაქმა გაუძლო: ჩვენამდე მოიტანა თავისი განუმეორებელი კოლორიტი და თითქოს სული ჩააბარა ჩვენს მამებსა და პაპებს — აწ თქვენ იცითო. და დაიწყო განდიდება, განვრცობა და გამრავლება ქალაქისა.

აი, მაგალითად, გმირთა მოედანი — ქალაქის მიჯნა მეოცე საუკუნემდე.

ახლა... ახლა ამ ადგილას ახალი ქალაქია: რადიოსა და ტელევიზიის შენობა. თერთმეტსართულიანი საცხოვრებელი სახლი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპორტის სასახლე. ზოოლოგიური პარკი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. აბრეშუმის საქსოვი კომბინატი...

ძველი და ახალი თბილისი — რაოდენი განსხვავებაა მათ შორის... ეს ამ ფოტოებიდანაც კარგად ჩანს. ასეა დღეს. ხვალ? ხვალ თქვენ იქნებით თბილისის ბატონ-პატრონნი, თქვენ ააშენებთ თქვენ განავრცობთ, თქვენ დაამშვენებთ ქალაქს. მაშ, იყავით ამ დანატოვარის საიმედო მომვლელნი, შრომითა და ბრძოლით აღსავსე ამ ორმოცდაათმა წელმა რომ დაგიტოვათ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრათვალა მზის ქვეყანა



(გაგრძელება. იხ. გვ. 13).

აქა-იქ თითო მეტრი სიღრმის, სიგრძე-სიგანით ათ-ათმეტრიანი წყალსატევები იყო შემოდგომა-ზამთარში წვიმის წყლისა და თოვლის ნაჟურის შესაგროვებლად, რადგან ახლომახლო ცხვრის დასარწყულებელი სხვა არა არის რა.

მხარმარჯვნივ მოიტოვეს ძველი ბინები და, ის იყო უნდა შესდგომოდნენ დაკიდულ ფერდოს, რომ გიორგი შეჩერდა.

— აბა, ბიჭებო, მოიმარჯვეთ თქვენი წერაყინები!—თქვა მან და კბოდესკენ გაუძღვა.

მალე მიადგნენ ფლატეს. მამის რჩევით ბიჭები ფრთხილად თხრიდნენ ფლატეს კედელს; გიორგი და შალვა ნიჩბებით მუშაობდნენ. ძია პავლე ბარგსა ხდიდა სახედრებს.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ, მაგრამ გიორგი არ ჩერდებოდა. მისი ვარაუდით, ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც ჩვენმა პალეონტოლოგებმა შორეული წარსულის ცხოველთა ჩონჩხი ნახეს.

ერეკლეს წერაყინი რბილ თიხაში რაღაც მაგარს მოხვდა, დაიწკრიალა.

— ვიპოვე, განძი ვიპოვე!—დაიყვირა ერეკლემ და წერაყინი მაგრად მოიქნია.

— ფრთხილად!—გიორგიმ ერეკლე უკან დააყენა. ბარულათი გადმოჩიჩქნა მიწა და, მართლაც ერთი კარგა მოზრდილი, თეთრი ლოდისებური რაღაც გადმოაგდო.

ლოდის სიგრძე 35, ხოლო სიგანე 15 სანტიმეტრი მაინც იქნებოდა.

— ეს... ეს ხომ ეშვია?—წამოიძახა ვახტანგმა.

— დიახ. და უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პალეონტოლოგებისათვის კარგი საჩუქარიცაა. სწორედ ამ ადგილას იყო ნაპოვნი ერთ-ერთი ამომწყდარი ცხოველის—დინატორიას ჩონჩხი. შემდეგ, უდაბნოსთან, ლ. გაბუნიამ აღმოაჩინა მეორე, უფრო კარგად შემონახული, ამავე ცხოველის ჩონჩხი. ელდარში სპილოს მთელი ჩონჩხი ნახეს. ხომ გინახავთ, ჩვენი მუზეუმის ეზოში რომ დგას?

გარდა ამისა, სპილოს ეშვი იპოვეს გორის მუზეუმის საძირკვლის თხრის დროს. ეს ეშვი აწ ამომწყდარი. ადრე იტალიის სამარხებში ნაპოვნი ჯუჯა სპილოს ძვლისა უნდა იყოსო, — დაადასტურეს ნამარხების სპეციალისტებმა.

წინანდალში, ღვინის ქარხნის საძირკვლის გათხრისას, აღმოჩნდა ნამარხი მარტორქის ჩონჩხი. ეტრუსკული მარტორქა ტიპიური ცხოველია ზემო პლიოცენისა. იგი ამ ექვსიოდე მილიონი წლის წინათ დაეხეტებოდა იმ დროის აქაურ სუბტროპიკულ ტყეებში. ამ მარტორქამ მეოთხეულის დასაწყისამდე მოაღწია.

დუშეთის მახლობლად კი თავისებური ჟირაფის ჩონჩხიც ნახეს. ერთი სიტყვით, ამ ჩვენს დღევანდელ უდაბნოებში გვხვდება ტროპიკული და სუბტროპიკული ტყეების ბინადართა, აგრეთვე ღია ლანდშაფტების ცხოველების ნამარხები, მათ შორის—ჟირაფისაც. რასაკვირველია, მაშინ მარტო ისინი კი არ ბინადრობდნენ აქ, რომელთა ჩონჩხებიც აღმოაჩინეს, არამედ მრავალი იმათგანიც, ტროპიკებში რომ ცხოვრობენ ამჟამად.

რომ შეიძლებოდეს და პლიოცენი გაცოცხლდეს თავის მცენარეებიან ცხოველებიანად, აქ გვექნებოდა უზარმაზარი შესანიშნავი ზოოპარკი სპილოებით, მარტორქებით, ბეჰემოთებით. ჟირაფებით, ნიანგებითა და აგრეთვე ათასი სხვა ისეთი ცხოველებით სავსე, რომლებიც დღეს აღარსად გვხვდებიან.

სახედრები კვლავ დატვირთეს და ნელი ნაბიჯით შეუდგნენ უდაბნოს საკმაოდ შვეულად დაკიდულ ქედს. სახედრები საოცარი სიზუსტით არჩევდნენ ჭირკვალს. ნელი-ნელ მიიწევდნენ მაღლა.

გზადაგზა მასალას აგროვებდნენ. ერთხელ წკრიალამ კურდღელი წამოაგდო და იმით გაერთვნენ, ერთხელ კიდევ—ორი კაკაბი, და მათი ბუდის ძებნას შეუდგნენ მაგრამ ამაოდ.

უდაბნოს ქედის ერთ-ერთ პლატოზე გავიდნენ. აქედან შორს მოჩანდა ალაზნის ივრისა და მტკვრის შესართავი, მინგეჩაურის ზღვა და შორეული ლურჯი მთები.

გადაიარეს ქედი და მათ წინ გადაიშალა შესანიშნავი ვაციწერას ველი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჩემს მთებს

რომ არ გნახოთ, როგორ გავძლო,
ნისლიანო მთებო,
მინდა თქვენზე ლექსი ვწერო,
ჩემო საყვარლებო!

მე,—თქვენსავით თმაჭაღარა,—
სახლში მელის ბებო,
მოვდივარ და გესალმებით
მშობლიურო მთებო.

**თამარ ტუნტურიშვილი,**
დუშეთის სკოლა-ინტერნატის VI კლასის
მოსწავლე.

## გაზაფხული

გაზაფხულია,
            იცინის მზე,
წითელი, ლივლივა,
            ცხრათვალა მზე...
მე მინდა ვუმღერო
            მინდორს და ტყეს,
ამაყი ბერმუხის
            მეასე წელს,
გლეხკაცის დალოცვილ
            მადლიან ხელს.
მე მინდა ვუმღერო
            ჯადოსნურ თვეს,
მიწის სურნელს და
            ნოყიერ ბელტს,
სილამაზის და სიცოცხლის ღმერთს,
            დღეს—
ბედნიერ და ნათელ დღეს...
            გაზაფხულია იცინის მზე,
წითელი, ლივლივა,
            ცხრათვალა მზე.

**ნუგზარ ქობერიძე,**
თბილისის მე-8 საშ. სკოლის
X კლასის მოსწავლე.

## ერთმანეთისთვის

სიხარული შენ მაჩუქე,
საყვარელო დედა,
შენს თვალებში მუდამ ფიქრებს,
მუდამ ზრუნვას ვხედავ.

შენ ხანდახან იღიმები—
შუქი ზეცას ერთვის,
შენი გული ჩემთვის ფეთქავს,
ჩემი გული—შენთვის!

**ლალი ტყემალაძე,**
ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე.



წისქვილი

**ოთარ მშვენიერაძე**
ქუთაისის მე-16 საშ. სკოლის
VII კლასის მოსწავლე

# ღმერთების ფერხთით

(ერმიტაჟში)

ჩუქურთმაში ჩასმული დიდი კარები გაიღო და ხალხი ვეება დარბაზებში შევიდა.

მიჰყვები კიბეს. კედლებშივეა გამოკვეთილი ატლანტების სხეულები.

კუთხეს — ჩუქურთმა.

თაღს — ნახატი.

კედელს — ბარელიეფი.

დარბაზი გავიარეთ და, არც ერთი კუთხე, არც ერთი ბოძი, არც ერთი თაღი არ არის შიშველი. მდიდრულად დახუნძლულან დარბაზები ხელოვნების შედევრებით.

ფართო გალერეაში თითოეულ ბოძთან თითო ღმერთი დგას. დიახ, ღმერთები დგანან. ერთს მოსდევს მეორე, მესამე, მეოთხე, ერთმანეთზე უფრო ლამაზი, ერთმანეთზე უფრო ძლიერი. და თითოეული რაიმეს ამბობს, თითოეულში რამე გრძნობაა, რაიმე აზრია.

განა არ ღაღადებს, არ გრგვინავს ლაოკოონის მარმარილოს სხეული?! აზრით აღსავსე ათინა პალადას სახე. რა მშვიდია ჰერკულესის ძლიერი ტანი. იდუმალი მშვენიერებითაა აღვსილი ვენერას სხეული. და დგანან, დგანან უთქმელი აზრით დამძიმებულნი...

გაიღო კარი, იქეთ კვლავ კარი, კიდევ — კარი... და ასე, აღარ ილევა დარბაზები. ოქროს დარბაზი, ვერცხლის დარბაზი, მალაქიტის, ხავერდის... დახვავებულა დიდებული ნიმუშები და ყოველივე ამის ღმერთი — ხელოვნებაა.

ზეიმობს ხელოვნება.

იბრძვის ხელოვნება.

ღაღადებს ხელოვნება.

ხელოვნება — ღმერთი!

გაიღო კარები და... იწყება სურათების გალერეა.

აქ უკვე ყოველი სურათია ღმერთი.

ღმერთია ყოველი ხაზი, ფუნჯის ყოველი მოსმა, ფუნჯის ყოველი მომსმელი.

თითოეული სურათი აღგაფრთოვანებს, განცვიფრებს და გაღელვებს. გაღელვებს და გადიდებს. ვეღარ ეტევი, აღარ გყოფნის ეს უზარმაზარი დარბაზებიც კი.

აღორძინების ხანა. ტიციანის მადონების თბილი თვალები ან ლეონარდო და ვინჩის „დედის" ღიმილი, რაფაელის სხეულები და მიქელანჯელოს ქვაში ჩაღვრილი ძალა. შენც არ იცი, რომელს მიჰხედო.

ისევ დარბაზები, ისევ ღმერთები... ღმერთი არაა განა რემბრანდტის „დონარა" ან ვან-დეიკის „ავტოპორტრეტი"?

საკვირველია! მშვენიერია! დიდებულია!

შემდეგ მოდის XX საუკუნე — აზრის, გონების ტრიუმფი!

როდენი, მოსე, გოგენი, ვან-გოგი, პიკასო...

ისევ გრძნობა, ისევ ცეცხლი, მაგარმ მაინც ახლის თქმა. აზრით თქმა.

ისევ, ისევ... და ბოლოს, ისევ პირველ გალერეაში ხართ. ისევ ქანდაკებები. ერთს მოსდევს მეორე, მესამე და მეოთხე. ერთმანეთზე უფრო ძლიერი, ერთმანეთზე უფრო ლამაზი. და თითოეული რაიმეს ამბობს, რაიმეს ღაღადებს. რა შეგრძნობაა, რა აზრია... რამდენჯერაც არ უნდა ნახო, მაინც გეტყვის, მაინც გაგრძნობინებს, მაინც მოგხიბლავს.

ისევე გრგვინავს ლაოკოონი, ჩაფიქრებულა ათინა,



კიკაჩეიშვილი თამაზი,
თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ მოქანდაკეთა
წრის წევრი მე-60 საშ. სკ. VI კლ.

მშვიდადაა ჰერკულესი. ნაზად იღიმება ვენერა. და დგანან ძეგლები. დგანან უთქმელი აზრით დამძიმებულნი. უკანასკნელად ირეკება ზარი. შორს უხალხო დარბაზები ჩანან, სადაც მარტო ღმერთები დადუმებულან. გამოდიხარ გარეთ დამძიმებული, დატვირთული, განცვიფრებული. ქალაქს თეთრი ღამე ამშვენებს. მდინარეზე ნავი მიჰქრის. ჩუმად! ღმერთებსა სძინავთ!

**რამაზ საყვარელიძე,**
თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლის ნორჩი ლიტერატორი.
(23-ე საშ. სკ. X კლ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ორთა-
ბრძოლა

თბილისის პიონერთა
სასახლის ნორჩ
მოქანდაკეთა წრის
წევრი
**გია სარაჯიშვილი.**

## დილას

უკვე გათენდა, გათენდა,
მზემ გააღვიძა მთა-ველი,
ხარობს და მღერის ხალისით
მიწის ყოველი მტკაველი.

შორს მთაზე ორი ცხვარი ჩანს,
ლერწამმა სიტკბო დაღვარა,
საამო ჰანგი მოჰფინა
მიდამოს მწყემსმა პატარამ...

**ილია გაგულაშვილი,**
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა
სასახლე.

## ხარობდეს

ოცნებას ჩემსას ვანდობ
ფრთამოფარფატე მტრედებს:
მშვიდობა გვქონდეს ბავშვებს,
მშვიდობა ჰქონდეთ დედებს!

ცა, მზიანი და სუფთა,
თავზე იმედად გვედგას,—
ლაღობდეს ყველა ბავშვი,
ხარობდეს ყველა დედა!

**მერაბ ხვადაგიანი,**
ცაგერის საშუალო სკოლის VII კლასის
მოსწავლე.

## მე სოფლელი გოგონა ვარ

მე სოფლელი გოგონა ვარ,
მიყვარს მთაში ნავარდი.
მიყვარს წყარო მოჩუხჩუხე,
ია—ლაღად ნაზარდი.

მიყვარს ღამე მთვარიანი,
ვარსკვლავებით მოჭედილი,
დილით ნამი ბალახებზე
ვერცხლისფერად მოფენილი.

**თინათინ იმნაიშვილი,**
ლანჩხუთის რ-ნის ხოფ. შუხუთის საშ.
სკ. მე-5 კლ. მოსწავლე.

## მურია

ჰა, მურია, მურია,
სახე გაგიმურია,
ძლივს მოჩანხარ მიწაზე,—
რად გაქვს დიდი გულია!

**ელგუჯა შუბლაძე.**
ქუთაისის პიონერთა და
მოსწავლეთა სასახლე.



ჩემი ამხანაგი

**ნუნუ ანდრიაკოვი,**
თბილისის 87-ე საშ. სკოლის
V კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედი ჯახუა,
გეგეჭკორის რაიონი, ლეხაინდრაოს საშ. სკოლის
X კლასის მოსწავლე.

## თექვსმეტი წელი

ეს გაზაფხულიც ასე შემოდის
დიდი მზითა და კვირტების სკდომით...
ო, ამ დღეებსაც როგორ ველოდი,
ბავშვობა-ყრმობის საზღვარზე მდგომი.

ეს სილაჟვარდეც შემოდის სულში,
მრავალი ხმით და მრავალი ფეხით,
ბავშვობა თითქოს დავკარგე გუშინ
და მაინც სადღაც შორეთში მღერის...

მე მისი ფასი გავიგე ახლა,
მსურს დავედევნო გაშლილი ხელით.
სულში კი ზეცა შემოდის ლაღად,
შენი თვალების ხალასი მზერით.

და ეს სიმწვანეც შემოდის ასე,
ეს თვეც ნაკურთხი, ხვნისა და თესვის,
ჩემს სულს კი ეს ზღვა სილურჯე ავსებს,
გულშიც ჩანჩქერთა გუგუნი მესმის.

ერთი ვარსკვლავიც აენთო ცაზე
და მეც შარბათი პირველად შევსვი...
სულში კი ზეცა შემოდის ასე—
როგორც ბავშვობის ხალასი ლექსი.

## ცეცხლი

მე ყოველ მზიან დილას ვუმღერი
მთელი ხმითა და მთელი არსებით,
და მზეს შეჰხარის
ყველა კვირტი თვალგაუხელი
და მზის სხივები ზეცას ავსებენ.

და მზეს შეჰხარის ჩემი სიცოცხლეც—
დიადს და მაღალს,
რომლის მკერდშიაც დუღს სიცოცხლის
მშფოთვარე ცეცხლი,
ცეცხლი—რომელიც მამღერებს ახლა.

## თუ გაფრინდები

დე, გულის ყველა ნერვი ათრთოლდეს,
აკვნესდეს სულის ლურჯი ძაფები,
დე, ყველას ძარღვში სისხლი აჩქროლდეს
ვულკანის ძალით და გამძაფრებით.

დე, დაიძაგროს მძლავრი კუნთები
და დაიფერფლოს ცხელი ფილტვები,
თუ ცოცხლობ—
ნუღარ დაძაბუნდები,
თუ მზისებრ დუღხარ—ნუ დაღვინდები!
გაშალე ფრთები—სულის აფრები—
და შორს გაფრინდი, თუ გაფრინდები!

## მინდორი—გაშლილი სუფრა

— მობრძანდით!—იძახის მინდორი,
დილის მზეში რომ სუნთქავს.
ბალახი ხასხასა, რძიანი
ამშვენებს ვეება სუფრას.

მინდორი მასპინძლობს,
მასპინძლობს, მზე ჩავა ვიდრე.
— მო... მო... მო... მოვდივართ,—
პასუხობს ბოჩოლა
და დედას კუნტრუშით მისდევს.

— ბე... ბე... ბე... ბევრნი ვართ,
— ბღავიან თიკნები,
გადავლეს ბილიკიც, ხიდიც,
იქ მათ ელოდებათ გაშლილი სუფრა—
მინდორი დიდი.

ლეილა ხაჩიძე,
გორის საშ. სკოლის
IV კლასის მოსწავლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკო ფიროსმანი

# სამსონ ნადარეიშვილი



საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი სამსონ ნადარეიშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც თავისი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობით განამტკიცებდა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების რეალისტურ ხაზს, მუდამ ისწრაფვოდა ყოფილიყო თანამედროვეობის, ხალხის ინტერესების გამომხატველი. ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარი-დეკორატორი და გამფორმებელი, მხატვართა მრავალი თაობის აღმზრდელი-პედაგოგი — ასეთია მის მიერ განვლილი ვრცელი გზა.

ს. ნადარეიშვილი არის ერთ-ერთი პირველი დამსურათებელი საბავშვო წიგნებისა და სახელმძღვანელოებისა. ქართული საბჭოთა წიგნის გრაფიკა მაშინ ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა და წიგნების გაფორმება-დასურათებაზე თითო-ოროლა მხატვარი თუ მუშაობდა. ბავშვებისათვის გასაგები ხატოვანება იუმორი და გამომგონებლობა ახასიათებს მის მიერ გაფორმებული საბავშვო წიგნების („შიშის თვალები“, „ხარაბუზას ქორწილი“, „გვრიტი“ და სხვ.) ილუსტრაციებს. მხატვარს ეხერხება ლიტერატურული პერსონაჟების მკაფიო და გამომსახველ კომპოზიციებში წარმოსახვა. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა შემოქმედის ბოლოდროინდელი ნაწარმოებები, კერძოდ, ხალხური ზღაპრის „ნაცარქექიას“ ილუსტრაციები. მათში, შესრულების ოსტატობასთან ერთად, ჩანს მხატვრის მდიდარი ფანტაზია.

სამსონ ნადარეიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული პლაკატის განვითარების საქმეში. თბილისის სამხატვრო აკადემიაში იგი ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პლაკატის სახელოსნოს და მრავალ ნიჭიერ მხატვარს შეუწყო ხელი დახელოვნებულიყო გრაფიკის ამ თავისებურად რთულ და სპეციფიკურ სფეროში. დიდი სამამულო ომის პერიოდში ს. ნადარეიშვილის პლაკატები მგზნებარედ მოუწოდებდნენ მტერზე გამარჯვებისაკენ.

განსაკუთრებით ნაყოფიერია მხატვრის შემოქმედება ფერწერაში. მის მრავალრიცხოვან თემატურ ტილოებზე აღბეჭდილია ჩვენი ხალხის სახელოვანი რევოლუციური წარსული, თანამედროვეთა შრომითი თუ საბრძოლო გმირობა და ამ გმირობის დაფასება ხალხის მიერ, ასახულია მშრომელთა დასვენების თუ ზეიმის სურათები... ეს არის ფართო, მრავალფიგურიანი კომპოზიციები, რომლებშიც თითოეულ პერსონაჟს გარკვეული ფუნქცია აკისრია და საერთო იდეური შინაარსის გახსნას ემსახურება. მხატვარს განსაკუთრებით უყვარს გმირებთან ხალხის შეხვედრის ამაღლებული, საზეიმო განწყობილების გადმოცემა. ასეთებია „შეხვედრა მთაში“, „გმი-





ძველი მეგობრები



სურამის ციხე

რის პატივსაცემად“, „კოლმეურნეთა ზეიმი“ და სხვ.

ფაქიზად გახსნა თემა მხატვარმა სურათში „სადღეგრძელო“. ტილოზე ვხედავთ ოჯახურ სუფრას. მაგიდის ირგვლივ, ფეხზე მდგარი ომგადახდილი და მხცოვანი პაპა, კოლმეურნე ახალგაზრდები და ოჯახის დიასახლისი მოწიწებით იგონებენ მათგან წასულთ. თითოეული პერსონაჟის გამომეტყველება გვაგრძნობინებს მის შინაგან განცდებს.

დიდი სითბო ჩააქსოვა მხატვარმა სურათში „გმირის დაბრუნება“. დედა, მამა და შვილები ეგებებიან ომგადახდილს, რომლის მკერდს ორი ორდენი ამშვენებს. სიხარულსა და აღტაცებას გამოხატავს ირგვლივ ყოველივე — დამხვდურები და მზით გასხივოსნებული მშობლიური ეზო-გარემო, აქოჩრილი ხეები...

უშუალობა და ლირიული სითბო ახასიათებს ს. ნადარეიშვილის სურათებს, რომლებიც ცხოვრების ყოველდღიურობას ასახავენ. მათში იგრძნობა მხატვრის დიდი სიყვარული ადამიანებისადმი, დაკვირვება მათს ქცევებზე, სულიერ სამყაროზე. ასეთია, მაგალითად, „ძველი მეგობრები“. ეს ნაწარმოები მოგვითხრობს პატარა სუფრასთან ორი მოხუცის გულთბილ საუბარზე.

ახალ შემოქმედებით გამარჯვებას მიაღწია მხატვარმა ნამუშევარში „ნიკო ფიროსმანი“. ეს დიდი ტილო, რომელიც 1962 წლის რესპუბლიკურ სამხატვრო გამოფენაზე იყო წარმოდგენილი, შთამბეჭდავად და პოეტურად წარმოგვისახავს შესანიშნავ ქართველ მხატვარს ნიკო ფიროსმანს. ცხოვრებისაგან ჯანგატეხილი მხატვარი სევდიანად მიაბიჯებს მშობლიური ქალაქის ქუჩებში. ხელში განუყრელი ფუნჯები და ტილო უჭირავს. ირგვლივ ვხედავთ ძველი თბილისის კოლორიტულ უბნებსა და საზოგადოებას: მოქეიფე კინტოებს, მემაწვნეს, მეეზოვეს, მიკიტანს...

რესპუბლიკურ თუ საკავშირო სამხატვრო გამოფენებზე სამსონ ნადარეიშვილის პეიზაჟურ ტილოებსაც ვხვდებით ხოლმე. პეიზაჟს საერთოდ დიდი ადგილი უჭირავს მხატვრის თემატურ კომპოზიციებში. ამ ჟანრის ფერწერული ტილოები აღსავსეა განწყობილებით, ფერადოვანი და ემოციურია. ასეთია „გორის ციხე“, „თბილისი“ და სხვ.

სამსონ ნადარეიშვილს უმუშავნია თეატრალურ მხატვრობაშიც. გაფორმებული აქვს საოპერო და დრამატული სპექტაკლები თბილისში, ქუთაისში, ხარკოვში.

ბოლო პერიოდის გრაფიკული ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის მოთხრობებისათვის — „კაცია — ადამიანი?!“, „სახრჩობელაზე“. მხატვარმა კარიკატურული გაზვიადების გარეშე წარმოგვიდგინა ილიასეული გმირები „კაცია-ადამიანიდან“, დამაჯერებლადაა ნაჩვენები მათი საყოფაცხოვრებო გარემო, ხასიათები და ფსიქოლოგია.

ღვაწლმოსილი ოსტატის ს. ნადარეიშვილის ტალანტი და ენერგია კვლავაც ბევრ ახალსა და საინტერესოს შესძენს ქართულ სახვით ხელოვნებას.

**ლეილა თაბუკაშვილი.**

„ნაცარქექიას“ ილუსტრაცია

შეხვედრა მთაში



ჩვენი სალონი



გაქვს რომელიმე კარგი სურათი და გინდა მისი ჩამოკიდება კედელზე, მაგრამ ვერ ახერხებ. რატომ? კედელი ქვისაა, ლურსმანი — რკინის, ლურსმანი ქვაში არ შედის. როგორ უნდა მოიქცე? თავდაპირველად კედელში ბუდე გააკეთე. რითი? შეგიძლია გამოიყენო სატეხი, ბურღი, ან წაკვეთილთავიანი სახვრეტელა. შემდეგ ამ ბუდეში მჭიდროდ ჩააჭედე ხის საცობი. ხის საცობში ადვილად ეჭედება ლურსმანიც, კავიც და კაუჭა ლურსმანიც.

თუ შენი გაუფრთხილებლობით ფუტკრების ან ჭიანჭველების „ალყაში“ მოხვდი და დაგკბინეს, გახსოვდეს, — თავს მხოლოდ ნიშადურის სპირტით იხსნი. ტუტე სწრაფად ანეიტრალებს ჭიანჭველამჟავას.

თუ ფიცრის გახერხვისას ხერხი იჭედება, ნუ დაღონდები, ჭრილში პატარა სოლი ჩაარჭვე და საქმეც გაგიიოლდება.

სამზარეულოს ჭიანჭველები შეესია. დედა საგონებელში ჩავარდა, — როგორ მოსპოს ისინი? შენ გელიმება და იქ, სადაც ჭიანჭველები დაფუსფუსობენ, მიხაკის ან ოხრახუშის პაწია კონებს ალაგებ. ჭიანჭველები



ვერ იტანენ მიხაკისა და ოხრახუშის სუნს და თავქუდმოგლეჯილები გარბიან. დედა კმაყოფილია შენი მოხერხებულობით.

როცა დამტვრეული ფაიფურის ჭურჭლის ნაწილებს ერთმანეთზე აწებებ, ამ დროს ყველაზე ძნელია ნატეხების საჭირო ადგილებზე გამაგრება. ამაში კი კარგ დახმარებას გაგიწევს ლეიკოპლასტირი ან საიზოლაციო ლენტი, რომლითაც ნატეხებს ერთმანეთზე დაამაგრებ. წებოს გაშრობის შემდეგ კი წებოვანი ლენტების მოცილება იოლი საქმეა.

თუ რაიმეს კეთების დროს, ხელში ჩაგივარდა დაჭეჭყილ თავიანი ჭანჭიკი, ნუ ჩახრახნი ვიდრე სამკუთხა ქლიბით არ აღადგენ მის სახრახნ ჭრილს.

ვთქვათ დაგჭირდა მინის ძაბრი, ან ცილინდრი, ან კიდევ სქელკედლიანი მინის ქილა. ყველა ესენი შეგიძლია გამოჭრა ბოთლისაგან. როგორ? აიღე სპილენძის სქელი მავთული და მჭიდროდ შემოახვიე ბოთლს. მავთულის თავისუფალი ბოლო კარგად გაახურე სანთლის ალზე. შემდეგ, მავთულშემოხვეული ბოთლი სწრაფად ჩაუშვი ცივ წყალში. ბოთლი ზუსტად იქ გადაიჭრება, სადაც მავთული ექნება



შემოხვეული. თუ გადაჭრის ადგილი მთლად სწორი არ იქნება, არ დაღონდე. აიღე სალესი ქვა და იმით გადახეხე მინა.

# სარჩევი


გ. ზარდალიშვილი — დიადი გარდაქმნების ეპოქა (წერილი) . . . . 1
ს. კლდიაშვილი — დაუვიწყარი ზაფხული (ნამდვილი ამბავი) . . . 3
ბაილ ბაიშელი — ღრუბლებიდით მიჭქრიან წლები (ნარკვევი). . . 5
მ. კახიძე — ორი არაგვიანი (ლექსი) . . . . 8
ნ. კილასონია — ბავშვობას ვხატავ. სარკმელს აღებენ (ლექსები) . . . 9
ქ. მიქაძე — გაზაფხულმა შემოგვცინა (ლექსი) . 9
ნ. დარსაველიძე — ზამთარი (ლექსი) . . . 9
ნ. კეცხოველი — ცხრათვალა მზის ქვეშ (მოთხრობა) . . . . . 10
ე. მაჭავარიანი — ოპერა (წერილი) . . . . . 13
ნ. შამანაძე — ყველაფერზე ძვირფასი (ზღაპარი) . . . . . . 17
გ. გელაშვილი — საფრთხილობელი (წერილი) 19
ოქროს საწმისი . 21
მ. მრევლიშვილი — მისი ცხოვრების საიალალო (წერილი) . . . . . 22
ახალი წიგნები . 22
ძველი და ახალი . 24
პიონერული კაბადონი . . . . . . 26
ლ. თაბუკაშვილი — სამსონ ნადარეიშვილი (წერილი) . . . . . 30
გამოცანები . . 32
თავშესაქცევი გარეკ 3



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის ზ. მეძმარიაშვილს.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაგელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები: რედაქტორის—5-17-76
პ/მგ. მდივნისა და განყოფილებების—5-07-43



„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა „ნაკადული“. უე 04838 ტირ. 67.700. პირ. ფორ. რაოდ. $4^1/_2$, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმ.-წერ. დასაბ. 3/III-67 წ. სტამბის შეკვ. 299. გამომც. შეკვ. 972. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ? თავსატეხები

## გეოგრაფიული ჩაინვორდი

1. სახელმწიფო ევროპაში; 2. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 3. სახელმწიფო ევროპაში; 4. კონტინენტი; 5. უდიდესი ტბა სსრ კავშირში; 6. სახელმწიფო ევროპაში; 7. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში; 8. დიდი ანტილის კუნძულთა ჯგუფის ერთ-ერთი კუნძული; 9. მატერიკი; 10. სახელმწიფო ევროპაში; 11. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე.




## სცადე წაიკითხო




საწყისი ასო ნაჩვენებია ისრით.

შეადგინა ჯ. ჩუბინიძემ.

## ფანქრის ერთი მოსმით



სცადე შემოხაზო ეს ფიგურა ისე, რომ ფანქრის წვერი მეორედ არ გადაატარო ხაზზე.

ტარიელ თავხელიძე,
ზესტაფონის რ-ნის მეორე სვირის საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე.

## პასუხი № 2-ში მოთავსებულ „თავშესაქცევზე“

### კროსვორდი

**ვერტიკალურად.** 1. ჩინეთი; 2. აზოტი; 3. აისი; 4. ხაში; 5. კორეა; 6. ფიზიკა; 8. სიო; 9. მარო; 10. ელბა; 11. ჩაი; 13. ახტალა; 15. ისინდი; 18. ამება; 19. „მნათობი“; 20. ლარნაკი; 21. „ამოკი“; 23. ომსკი; 25. ტრიგონომეტრია; 27. კაკაო; 32. ია; 33. ლა; 35. ლორია; 39. რადიო; 43. კრატერი; 45. ვიოლინო; 46. „ავარა“; 47. ჭა; 51. სი; 52. ირანი; 54. კანტი; 55. ამალა; 58. „ელეგია“; 60. ნიზამი; 63. „მანანა“; 67. ლიკანი; 68. კრეპი; 69. სვია; 70. ტალი; 71. კროსი; 73. ალფა; 74. ბზა; 75. სოლ; 76. არფა.

**ჰორიზონტალურად:** 7. კიაზო; 12. ტოკიო; 13. ასპინძა; 14. ლამანში; 16. ლენტეხი; 17. ისტერია; 22. აბიო; 24. „კარმენი“, 26. კალმანი; 27. კალა; 28. ორი; 29. შარბათი; 30. ანაკლია; 31. პაიკი; 33. ლახტი; 34. იალტა; 36. ობი; 37. სკა; 38. მარაო; 40. ონი; 41. აორტა; 42. ბადრი; 44. ომი; 46. აჭარა; 48. არე; 49. ლია; 50. ლაოსი; 53. „სილვა“; 56. ირემი; 57. პენალტი; 59. ალუმინი; 61. ბია; 63. რემა; 64. ჰექტარი; 65. ანალიზი; 66. ილია; 72. ინერცია; 76. ამერიკა; 77. ალაზანი; 78. ლომოური; 79. ანაპა; 80. ისანი.



ნასაკირალი. მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი.

ИНДЕКС 76157

ეროვნული ბიბლიოთეკა